ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 24
შაბათი, 12 მარტი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 24
შაბათი 12 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа".

გასტროლი ქუთაისის ქართული დასისა

არტისტიულ საზოგადოების თეატრში.
კვირას, 13 მარტს 1905 წ.

ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასისაგან **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** გამგეობით და მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ცნობილი პიესა

✦ კაი გრაკხი ✦

ისტ. დრ. 5 მ. მონტისა. თარგ. **ივ. მაჭავარიანისა**

სამშაბათს, 15 მარტს 1905 წ.

ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასისაგან, **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** გამგეობითა და მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნება

როზა ბერნდ

დრამა 5 მოქმ. ჰ. ჰაუპტმანისა, თარგ. ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. დავითიშვილი, როსნელი, ივანიძე, მდივანი, გამყრელიძე, ურბნელი, ბ. ბ. **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი**, გამყრელიძე, აწყურელი, ბაქრაძე, გვარაძე, ზარდალიშვილი, გრ. ჩარკვიანი, მურუსიძე და სხვა.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8½ ს. ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

რეჟისორი: **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი.**

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

ს ა ღ ა მ ო ს:

ს. ი. ვაწაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი — 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ ჩიძოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი— ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лечебница д-ра Навасардіана.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ა ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს

სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5-დან საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელაშვილი—კრონჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ჩ ა ა გ ო ნ ე თ!

გურიის ამბებს უკვე შევეჩვიეთ. დღეს ყველას ქართლის ამბები გვაკერია ენაზე, ყველას ქართლის გლეხობის მოძრაობა გვალაპარაკებს. ამაზე ფიქრობს მემამულეთა წოდება—თავად-აზნაურობა, ამაზე მსჯელობს მთელი ინტელიგენციაც. მემამულეთა ფიქრი და მოქმედება ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, უფრო საინტერესო და საყურადღებოა, ვიდრე აზრი ინტელიგენციისა, ვინაიდან პირველთა გადაწყვეტილებასა და ამა თუ იმ განსაზღვრულ გზის არჩევას მოჰყვება შედეგად მოკლე დროში სხვადასხვა გვარი პრაქტიკული ღონისძიება და „მოქმედების" დაწყება. ამიტომ ყველამ დიდის გაფაციცებით უნდა ვადევნოთ თვალ-ყური თავად-აზნაურთა ბჭობას, რომელიც თითქმის ყოველდღე სწარმოებს და საქმის ვითარებას არკვევს.

ჩვენ უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი ამის შესახებ, თუ რა გზას უნდა დაადგეს თავად-აზნაურობა და როგორ უნდა მოურიგდეს გლეხობას. მოსარიგებლად და ხალხის დასამშვიდებლად უეჭველად საჭიროა დათმობა, საჭიროა გლეხობისთვის შეღავათის მიცემა და მათი გაჭირვებულ მდგომარეობის გაუმჯობესება. ჩვენდა სასიამოვნოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საჭიროება ბევრ მემამულეს შეგნებული აქვს და მზად არის დაუახლოვდეს ხალხს და მხარი მისცეს მის სამართლიან ჩივილსა და მოთხოვნილებას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი შეგნება ჯერ კიდევ საერთო არ არის. თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა ამ საჭიროებას და ვერ შესჩვევია იმ აზრს, რომ სოფლად შეიძლება ცხოვრება მაშინაც კი, როცა გლეხი გაპირუტყვებული არაა და ცნობიერად უცქერის თავის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას. სამწუხაროდ, მემამულეებში არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც სრულიად არ ცდილობენ და არც სთანხმდებიან სოფლად ეკონომიურ ურთიერთობის მოწესრიგებას და მშვიდობიან ცხოვრების ჩამოგდებას. მათ ვერ დაუვიწყნიათ ძველი ბატონ-ყმური ზნე-ჩვეულება და ჰგონიათ, რომ ეხლანდელ დროშიც შესაძლებელია მამა-პაპურის კილოთი ხალხთან ლაპარაკი და მასთან ბრძანებითა და ფეხის ბაკუნით საქმის გაკეთება.

სავალალოა ასეთი შეუგნებლობა და დაბრმავება, რადგან ეს უფრო გაამწვავებს უთანხმოებას და, რახან ქართლში ხალხს მცირე კულტურული მომზადება აქვს, შეიძლება მიზეზიც გახ- ლო მოქმედებისა. ეს ისეთი სამწუხარო და დასაგმობ სახით გამოხატული მღელვარება იქნება, რომელიც დასანანად გაუხდება გლეხებსაც და მემამულეებსაც. და ამ მოსალოდნელ უბედურობის თავიდან ასაცილებლად მემამულეების მხრივ საჭიროა დიდი სიფხიზლე და გონიერება.

გუშინ-წინ სამეურნეო საზოგადოების დარბაზში იყო თავად-აზნაურთა კერძო კრება და აქაც კიდევ იჩინა თავი ზოგიერთ მემამულეთა სიმკაცრემ და ფეოდალურმა ზნე-ჩვეულებამ. ამ კრებაზე მხოლოდ თავად-აზნაურნი ლაპარაკობდნენ,— იქ არ ყოფილა არც ერთი გლეხი, რომელსაც მათთვის თავისი „გლეხური" საჩივარი და უკმაყოფილება გამოეცხადებინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც ვერ შესძლეს დინჯად მსჯელობა და ზოგიერთ დემოკრატიულ აზრების გულგრილად მოსმენა. ექიმმა ვ. მუსხელიშვილმა, რომელიც თვითონ ქართლის აზნაური მემამულეა, აუხსნა და განუმარტა თავად-აზნაურთა კრებას ზოგიერთი ცოდვები მემამულეებისა, დაანახვა ყველას გლეხთა აუტანელი მდგომარეობა და ურჩია, რომ საგანს სერიოზულად ჩაჰკვირებოდნენ, ყოველი თავისი ნაბიჯი საფუძვლიანად გაესინჯათ და გლეხებთან ნორმალურ დამოკიდებულების ჩამოგდებას ცდილიყვნენ.

ასეთი „ღალატი" ვერ მოითმინა კრების ერთმა ნაწილმა და ექიმს მუსხელიშვილს სიტყვით შეურაცხყოფა მიაყენა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ყოვლად პატიოსან ახალგაზდა კაცს „გარედ გათრევა" უბრძანეს სოფლის რაინდებმა. ექიმიც დაემორჩილა ძალ-მომრეობას, გადასწყვიტა, რომ ლოღიკა და გონება ვერ იმოქმედებდა, და განშორდა თავის მეზობლებს, რომელთაც, არა თუ გლეხებთან საქმის მოწყობა,—უბრალო ზრდილობის დაცვაც კი არ შესძლებიათ.

ეხლა თვითონ თქვენ იფიქრეთ, მკითხველო, თუ როგორს შეწყობილებაში იქმნებიან გლეხებთან ან როგორ მოეკიდებიან გლეხებისაგან ყოველგვარ „მოთხოვნილებათა" გამოცხადებას ისეთი პირები, რომელნიც თავის სწორ მემამულესაც კი შეურაცხყოფას აყენებენ, როცა ამისი აზრი მათს ვიწრო წოდებრივ ინტერესის გამომხატველ შეხედულებას არ ეთანხმება.

და, აი, ეს გარემოება გვიღვიძებს ჩვენ გულში შიშსა და უიმედობას. დღეს ქართლის მემამულეებს მართებთ დიდი «ტაქტი» და გამჭრიახობა, რათა მათმა აჩქარებამ და გაუთვალისწინებელმა მოქმედებამ არ შექმნას სოფლად ისეთი მდგომარეობა, რომელიც ყველასთვის სამწუხარო და სამუდამოდ დაუვიწყარი იქნება.

და ამიტომ საჭიროა, ყოველმა შეგნებულმა და გავლენიანმა მემამულემ აუხსნას და ჩააგონოს თავის შეუგნებელსა და ფაფხურა მეზობლებს, რომ დღევანდელი მდგომარეობა ფრიად სერიოზულია და ხალხის წინ შეურიგებელ მოწინააღმდეგედ გამოსვლა თვით მათივე კეთილდღეობისათვის საზარალო და მავნებელია...

თავად-აზნაურთა კერძო კრებაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ-წინ, 10 მარტს, სამეურნეო საზოგადოების შენობაში თავად-აზნაურთა კერძო კრებაზე დიდძალი ხალხი დაესწრო. ერთი მეოთხედი დამსწრეთა ქალები იყვნენ... საგანი ლაპარაკისა გლეხთა მოძრაობა იყო... ლაპარაკით ყველამ ბევრი ილაპარაკა, მაგრამ ყოველივე ეს გამეორება იყო იმისი, რაც წინა კრებებზე წარმოითქვა. ბევრნი ამბობდნენ, გლეხთა ახლანდელ მოძრაობას სარჩულად პოლიტიკური ხასიათი აქვსო. დღევანდელი საზოგადო წყობილება ერთნაირად ავიწროებს როგორც გლეხებს, აგრეთვე თავადებსაო თუ მოძრაობა ზოგიერთ ადგილებში მიმართულია თავად-აზნაურთა წინააღმდეგ და ანადგურებს იმ საყოველთაო და ყოვლად საჭირო საუნჯეებს (მაგ., ტყეებს), რომლის ხელუხლებლად დატოვება ყველა ჩვენგანის ვალიაო, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გლეხებს ჯერ-ჯერობით აკლიათ ტაქტიკა ნაყოფიერად მოქმედებისაო. ერთი-ორი იმ სიმბრძნემდის მივიდა, რომ თამამად განაცხადა: გლეხებს წინადაც ეჭირათ ჩვენი მამულები, ახლაც უჭირავთ, წინად ხმას არ იღებდნენ, უკმაყოფილებას არ აცხადებდნენ, ეხლა კი საჯაროდ გაჰყვირიან უკმაყოფილო ხმითაო; ცხადია, აქ დამნაშავენი არიან ისინი, ვინც სოფელ-სოფელ დადიან და, დღემდე მშვიდსა და წყნარს ხალხს, ჩვენის მყუდროების შესარყევად აღელვებენო.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი. მე მინდა ჩემი აზრი გაგიზიაროთ, მაგრამ ჩემი ჭეშმარიტი აზრი, შეიძლება, ბევრისთვის საწყენი იყოს... მე ვთხოვ კრებას, რომ ჩემი სიტყვა ბოლომდე მოისმინოს და არავინ გამაწყვეტინოს, როგორც თავად-აზნაურთა წინა კრებაზე. თუ სიტყვას არ დამამთავრებინებთ და ყვირილს ასტეხთ, იძულებული ვიქმნები ქუდი ავიღო ხელში და წავიდე კრებიდან და გულით ვიწუხო, რომ ისეთნი კაცნი შეიდებით არ ისურვეს ჩემი სიტყვის მოსმენა... რას ვხედავთ გორის მაზრაში, გლეხთა მოძრაობა რა ნიადაგზე აღმოცენდა, ვინ არიან გლეხთა შემავიწროებელნი? სამწუხაროდ, გლეხებს ვტანჯავთ ჩვენ, მამულის პატრონები, მაგრამ ვტანჯავთ უნებლიეთად, რადგანაც ჩვენ თვითონაც შევიწროებულნი ვართ დღევანდელ საზოგადო წყობილებით. ასე თუ ისე, ჩვენ მაინც ვტანჯავთ და ამიტომ მოვალენი ვართ, გლეხთა მდგომარეობა შევამსუბუქოთ და მით მოძრაობა სასურველ კალაპოტში ჩავაყენოთ. იმ კომისიის მოქმედებას, რომელიც არჩეულ იქმნა წინა კრებაზე გლეხთა მოძრაობის გამოსაკვლევად, არავითარი ნაყოფი არ ექმნება, რადგანაც კომისიის წევრნი ამ საქმეს და საზოგადოდ გლეხთა მდგომარეობას კარგად არ იცნობენ...

აქ ბ-ნმა მუსხელიშვილმა სიტყვა დაამთავრა, მაგრამ დამსწრე საზოგადოების ერთ ჯგუფში ხმაურობა ასტყდა. გაისმა ხმები: „სტყუის მუსხელიშვილი, მაგან რეცეპტები წეროს, გავიდეს აქედან!"

ბოლოს, როგორც იქნა, ეს ჯგუფი დაწყნარდა და ორატორებმა კიდევ გაიმეორეს ყველა ის, რაც უკვე ნათქვამი იყო. ვ. ს. მუსხელიშვილმა კვლავ ითხოვა სიტყვა... მაგრამ იმავე ჯგუფმა ისევ ხმაურობა ასტეხა.

ექიმმა მუსხელიშვილმა ლაპარაკი დაიწყო. საერთო ხმაურობაში გასაგონი იყო მხოლოდ ეს სიტყვები: მეც მემამულე ვარ... გორის მაზრაში მიწები და სახლი მაქვს... გარწმუნებთ, დღეს რომ მივიღო ამბავი, შენი სახლ-კარი გადაიწვაო, ამას განსაკუთრებულ ყურადღებას არ მივაქცევ...

მაგრამ ხმაურობამ თანდათან იმატა. ისმოდა მხოლოდ: „სახლი თუ გადაგეწვება, რას ინაღვლი? შენ აქ ფულს იღებ, რეცეპტებს სწერ", „დაიკარგე აქედან", „გაეთრიეთ აქედან", „აღარ დაგვენახოს!"

ექიმმა მუსხელიშვილმაც ქუდი დაიხურა და გამოეცალა კრებას, სადაც მას თავის აზრის გამოთქმა არ დაანებეს. წამოსვლისას მხოლოდ ორიოდე სიტყვა სთქვა იმათ შესახებ, რომელნიც ხმაურობდნენ: «მე ეგენი ღირსად არ მიმაჩნია, რომ პასუხი მივცეო».

ამის შემდეგ ბ-ნმა გუნიამ წინადადება მისცა იქ დამსწრეთ, კრება შევწყვიტოთ ამ ინციდენტის გამოო, და ისიც ბ-ნს მუსხელიშვილს გაჰყვა...

მეც, ამ სტრიქონების დამწერმა, მათს მაგალითს მივბაძე და კარში გამოვედი...

უ. მე—ლი.

სოფლის დარდი და ვარამი.

I.

შეშინებულმა და აშფოთებულმა მამულის პატრონმა ტფილისს მოატანა... უკმაყოფილების ქარ-ცეცხლი მოედო ქართლ-კახეთსაო, გლეხები ღალა-კულუხზე უარს ამბობენ, ტყე და ველ-მინდორი საზო[illegible] საერთო ქონებად გამოაცხადესო; არ[illegible] წესწყობილებისა და კერძო საკუთრების უარის-ყოფა კიდევაც განახორციელა გლეხ-კაცობამო,—ამბობენ მემამულენი... სჩანს, მოთმინების ფიალა ავსებულა, ეტყობა, ასწლოვანობით დაგუბებულს ბოღმას პირი უქნია და ნიაღვარივით წამოსულა...

წინდახედული და მამულის მოყვარე ადამიანი ნიაღვარსაც უპოვის სადსარსა. დროზე გასჭრის არხს და სტიქიონს მისცემს ბუნებრივ გზას.

ჩვენ გვწამს პატიოსანი ალღო და კეთილგონიერება მთლად ქართველ ერისა. ეს ალღო და კეთილგონიერება მოგვცემს ძალას სწორე გზა ვუჩვენოთ გამწარებულს გლეხ-კაცობას. თუ გლეხი დაიღუპება, ზედა-პირზე მოქცეულნი რიღას მაქნისი იქნებიან; თუ ფესვი ამოვარდება, ტოტი როგორღა იხეირებს?

ჭეშმარიტის გზის საპოვნელად კი საჭიროა გულწრფელობა და სამოქალაქო სიმამაცე, რომლის წინაშეც კუჭის ვარამმა, ეგოისტურმა გრძნობამ თაიმდაბლად ქედი უნდა მოიხაროს. მოგეხსენებათ, ისე არა აკეთილშობილებს-რა კაცსა, როგორც ალტრუიზმი, ესე იგი, სხვისთვის კეთილის მოტანა. რა ხელ-საყრელია დამფრთხალ კურდღელივით ჩირგვსა ან ჯაგში შეძვრენა და იქიდან საცოდავად კნავილი,—არიქათ, მიშველეთ, მეძებრები, საცაა, გამფლეთავენო, ან სხვის კალთაზე კოწიალი და ლმობიერი ხვეწნა-მუდარა—დამიფარეთ, ბოროტი კაცი კისრის მოგრეხას მიპირებსო. მაშ, ვახსენოთ მამულიშვილობა, მოვიკრიბოთ ძალ-ღონე და გამოვიძიოთ—რა ჭირი გაუჩნდა სოფელს, რომ წყნარ ცხოვრებაზე ხელი აიღო და ჭიაკოკონას აჩაღებს? კვლევა-ძიება გვაჩვენებს, აქვს თუ არა სოფელს საბუთი გადმოანთხიოს დაგუბებული ბოღმა. დავინახავთ აგრეთვე, ვინ გაუმწარა სული სოფელს, რომელიც, მშვიდობიან შრომის მაგიერ, ცეცხლს უკიდებს მეზობლის სახლ-კარსა. თუ მივაგენით სოფლის გაბოროტების ჭეშმარიტს მიზეზს, მაშინ გზა ხსნისა თავის-თავად გამოჩნდება.

საგანი დიდი და ძნელია, საჭიროა სიდარბაისლე და სიდინჯე. ჩვენ ჩვენსას ვიტყვით, გამოცდილებას და დაკვირვებას წინ წავიმძღვარებთ, ხმა აიმაღლოს, ნათქვამი შეასწოროს და ყალბი გააბათილოს. ამბობენ, აზრთა შეხეთქება ჭეშმარიტებას ჰბადებსო.

დღეს უდავიდარაბოთ ჭეშმარიტებათაა მიჩნეული, რომ ქვეყნის მარჩენალი სოფელი დაძაბუნდა, გათახსირდა და წელში მოიკაკვა, გაღატაკდა ნივთიერად და სულიერად. წესი და რიგი აღარაა სოფელში, ამოვარდა სამართალი, შესუსტდა სამართლიანობის გრძნობა. აუარებელი აპეკუნი მიუჩინა კანონმა სოფელს, მაგრამ, ვიმეორებთ, მაინც იგი ღვთის ანაბარად, უპატრონოდ დარჩა. მარტო დასახელება, ჩამოთვლა აპეკუნებისა თვალს დაუბნელებს ადამიანს.

ჯერ იქვე სოფელში მისი ბატონია და პატრონი: გზირი, იასაული, მამასახლისი, მასწავლებელი, მამულის პატრონი, მოურავი, დიაკვანი, მღვდელი, ბლაღოჩინი. გარედან კიდევ სოფელს პატრონობენ: ჩაფარი, ურიადნიკი, ბოქაული, მაზრის უფროსი, მისი თანაშემწე, თარჯიმანი, ბეითალი, ექიმი, აქციზის მოხელე, ამკრეფი, ტყის მცველი, აგრონომი, ინსტრუქტორი, ვითომდა ფილოქსერის ამომგდები, გამომძიებელი, სასამართლოს ბოქაული, ხარჯის ამკრები ინსპექტორი. სავუბერნიო ქალაქიდან მოსული მოხელენი კიდევ სხვაა. მთელი ეს ჯილგა მოხელეთა ვალდებულია კანონით იზრუნოს და იღვაწოს სოფლის საკეთილდღეოდ. ხშირად კიდეც დადიან სოფლად, ვითომ საქმესაც აკეთებენ, ნამდვილად კი მათის პირიდან ერთად-ერთი სიტყვა ამოდის: მოიტა, მოიტა!... მოიტას მიცემაც უნდა, მაგრამ მიმცემი არსადა სჩანს. ასეთმა საუკუნო ვითარებამ სოფელს სრულიად ძალ-ღონე გამოაცალა.

თუმცა სოფელი გაღარიბდა, გაღატაკდა, გაბრაზდა და გამწარდა, მაგრამ კიდევ მოიპოვება სოფლის ხალხში საღი და გონიერი ძალა. საჭიროა მაგრად ხელი მოვკიდოთ ამ ძალას, გვერდში ამოვუდგეთ ძმურად, თვალი ავუხილოთ, ვაჩვენოთ, თუ სადაა სათავე ვაება-მწუხარებისა, და შეერთებულის ღონით შევებრძოლოთ უკეთურებას. ეს იქნება ნამდვილი პატრონობა-ამხანაგობა და არა მოჩვენებული, როგორც აქამდისინ იყო.

მაშ, დაწვრილებით გამოვიძიოთ დღევანდელი სოფლის ვითარება, განვიხილოთ, რა როლი უჭირავს სოფლად თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას, მოხელეობას, სამოსწავლო უწყებას, ინტელიგენციას; რა ფარგალშია ჩასმული მიწათმფლობელობა, მოხმარება ტყისა, საძოვრისა; როგორაა მოწყობილი კრედიტის საქმე, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა; რა თვალით უცქერის სოფელსა და სოფლელს საფინანსო უწყება; უადვილებს თუ უმძიმებს სოფელს სამხედრო უწყება საშინელს ტვირთს ჯარის გაყვანისას; ზრუნავს თუ არა საგზაო უწყება სოფლის გზებისთვის, თუ ღვთის ანაბარადაა დატოვებული მეურნეობისთვის ეს უპირველესი საქმე; როგორ მიმდინარეობს სამართალი, ადამიანის ღირსების და ქონების მოვლა-პატრონობა...

ა.—ლი.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

10 მარტი.

ასხაბადი. მეშხედში რუსის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ დიდი ამბოხებაა. გუბერნატორისა და ადმინისტრაციის ცდა ამბოხების ჩაქრობას ვერასა შველის. მაღაზიები, კანტორები და ბანკები ღვთის ანაბარათაა მიტოვებული. ჯერ არავინ მოუკლავთ.

ბუდაპეშტი, 10 მარტი. ანდრაშიმ უარი განაცხადა, ახალ კაბინეტს ვერ შევადგენო.

სოფია. სარაფოვმა განაცხადა, მაკედონიის კომიტეტებს გადაწყვეტილი აქვთ 1906 წლამდის არ დაიძრან. თუ ამ დრომდე რეფორმები არ შემოიღეს, დიდი მოძრაობა დაიწყებაო.

ბერნი. ნაციონალურმა საბჭომ მიიღო გერმანიასთან ახალი ხელშეკრულობა.

ლონდონი, 9 მარტი. „ტაიმსის" კორესპონდენტი, მსჯელობს რა იაპონია-ინგლისის კავშირის შესახებ, სასარგებლოდა სთვლის, ეს კავშირი სატევ და საგერ პირობებზე იყოს დამყარებული, ესე იგი, ორივე მოკავშირე პირობის ძალით იძულებულნი იყვნენ ომიანობის დროს ერთმანეთს დახმარება გაუწიონო. „ტაიმსის" აზრით, ასეთი კავშირი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობას ჩამოაგდებს.

რომი, 9 მარტი. დეპუტატთა პალატაში მინისტრმა ტიტტონიმ განაცხადა, ფორტისმა სამინისტროს შედგენა იმიტომ არ იკისრა, რომ ეჭვი აქვს, ნოემბრის არჩევნების შემდეგ პარლამენტის უმეტესობა, რომელსაც ექმნება მიღებული მთავრობის პროგრამა, ვეღარ იარსებებსო. სამინისტრო, რომელიც ახლა სამსახურს თავს ანებებს, თავის პოლიტიკურ მოვალეობად სთვლის, პალატას წარუდგენს და მოითხოვს კანონს ერა, რადგანაც ჰფიქრობს, რომ უმეტესობა თავისს პროგრამას არ უღალატებს.

ტომსკი, 9 მარტი. ქალაქის საბჭომ 23 ხმის უმეტესობით, 3 წინააღმდეგ, შეიწყნარა ადრესი, რომელიც უნდა მიართვან ხელმწიფეს 18 თებერ-

დაუყოვნებლივ, დაადგინეს: ეხლა რომ სასწავლებლის სადგომი შენდება ბიბლიოთეკა-სამკითხველოითა და აუდიტორიითურთ, იმას ეწოდოს „სახალხო სასწავლებელი 18 თებერვლის 1905 წლის სახსოვრად“.

ქუქსჰავენი, 10 მარტი. დილის $9^1/_2$ საათზე იმპერატორი ვილჰელმი გემით გაემართა ხმელთაშუა ზღვისკენ სამოგზაუროდ.

ბერლინი, 10 მარტი. შინაგან საქმეთა მინისტრად ბეტმან ჰოლვეგის დანიშვნის გამო გაზეთები იუწყებიან, — ახალი შინაგ. საქმ. მინისტრი შვილიშვილია ცნობილ იურისტის მორიც-ავგუსტ ბეტმან ჰოლვეგისა, რომელიც 1858 წ. შვერინგ—ერსალდას ლიბერალურ სამინისტროში სარწმუნოებისა და საერო განათლების მინისტრად იყო. ახალი მინისტრი და იმპერატორი ვილჰელმი უნივერსიტეტშივე ამხანაგები ყოფილან —ერთად სწავლობდნენ; იგი ახლაც კარგად დაახლოვებულია იმპერატორთან და მომწიფებულ, საჭირო რეფორმათ მომხრეა. პრესსა ერთხმად ამბობს, — იმპერატორისაგან წარმოთქმულს სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს და დროის შესაფერიც არის. აღნიშნავს-რა იმპერატორის განსაზღვრულს მიზნებს ქვეყნის გარეშე და განუსაზღვრელს მიზნებს შიდა გუბერნიაში, პრესსას მოსწონს მონარქის განცხადება, — ყოველ ძალღონეს ვიხმარ, რომ დაცულ იქმნას სასურველი მშვიდობიანობაო.

ვილნო, 10 მარტი. საგლეხო კანონმდებლობათა გადამსინჯველ საგუბერნიო საბჭოს კრება გათავდა.

ლონდონი, 9 მარტი. (რეიტერი). ქვემო პალატაში ლიბერალმა ენსვორტმა შეიტანა რეზოლიუცია, რომლითაც ჰკიცხავს ჩემბერლენის წინადადებას საზღვარგარეთიდან შემოტანილ სამანუფაქტურო საქონელზე 10% ბაჟის დაწესების შესახებ. ბალფურმა განაცხადა, მთავრობა შეეცდება არ განიხილოს და არც კენჭი უყაროს ამ რეზოლიუციასო. ჰიუგ სესილმა შენიშნა: სამინისტროს მომხრე ჩემბერლენის ჯგუფი პოლიტიკურ ვერაგობას სჩადისო. ენსვორტის რეზოლიუცია ქვემო პალატამ შეიწყნარა 254 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ ორისა. სამინისტროს დასს კენჭი არ მიუცია. კონსერვატორ ფრიტრედერთა დასი რეზოლიუციის მომხრე გამოდგა. ჩემბერლენი ავად იყო და პალატა კრებას არ დასწრებია.

პეტერბურგი, 10 მარტი. ბეჭდვითი სიტყვის შესახებ დაარსებულმა საბჭომ 10 მარტის სხდომაზე ხმის უმეტესობით სასურველად სცნო, რომ გაუქმებულ იქმნეს წინასწარი ცენზურა ყველა წიგნებზე, რა ზომისაც უნდა იყოს იგი; ამასთანავე სასურველად სცნო, რომ საცენზურო დაწესებულებებში დაბეჭდილი წიგნი იყოფებოდეს საცენზუროდ მხოლოდ ერთის კვირის განმავლობაში ვერ გაიტანებოდეს გასასყიდად.

ბრემენი, 10 მარტი. ფრიდრიხ მე-III ძეგლის კურთხევის გამო მუნიციპალიტეტმა (ქალაქის თვითმმართველობას) ბანკეტი გამართა. ბურგომისტრმა (ქალაქის მოურავი) სიტყვა წარმოსთქვა. იმპერატორმა ვილჰელმმაც სიტყვით უპასუხა და, სხვათა შორის, სთქვა: „როდესაც ჯერ ისევ უმაწვილი ვიყავი, მახსოვს რომ გერმანიის დროშა შერცხვენილი იყო. იმპერატორად რომ გავხდი, დავიფიცე —ხიშტებსა და ზარბაზნებს შევასვენებ, მაგრამ მუდამ მზად კი მეყოლება ჯარები, რათა შურმა, მტრობამ და არა კეთილმოსურნეობამ ხელი არ შეუშალოს შინაურ საქმეთა მოწესრიგებას. გერმანიის იმპერიას უნდა ჰქონდეს ყველასი ნდობა, როგორც მეურნე, პატივისა და მშვიდობის მოყვარე მეზობელს. ჰოჰენცოლერნთა მსოფლიო ბატონობა უნდა იყოს დამყარებული სხვადა სხვა ხალხთა ნდობაზე და არა ცეცხლსა და მახვილზე. ხმელეთის სამხედრო საქმეების მხრივ ბევრი რამ გავაკეთეთ; ეხლა-რიგი საზღვაო საქმეებზე მიდგა—გემებისა და ნავთსადგურების აშენება-მოწესრიგებაზე. გერმანიის ყოველი ახალი სამხედრო გემი არის ახალი წინდი მშვიდობიანობისა და ზავისა. ახალგაზდობის მოვალეობაა—დაივიწყოს მტრობა, შური და დარწმუნდეს, რომ გერმანიის ხალხს უფალი დიდებულ მომავალს უმზადებს. ახალგაზრდობამ კვერი უნდა აუწყოს ყოველსავე სიცუდეს და მაშინ ყველანი სიყვარულითა და პატივისცემით მოეპყრობიან გერმანიასა და გერმანელებს, როგორც საიმედო მეგობრებს.“ იმპერატორმა სიტყვის დასასრულს გამოსთქვა ნატვრა, რომ სასურველი მშვიდობიანობა არ დარღვეულიყოს და ბოლოს ბრემენის პატივსაცემად „ვაშა“ წარმოსთქვა.

ბელგრადი, 9 მარტი. სერბიაში მრავლად მოასახლდებიან ოსმალეთის სერბები, რომ თავი დააღწიონ არნაუტელებს. სერბიაში ჰშიშობენ, რომ თუ არ შესწყდა ოსმალელ სერბთა გადმოსახლება, სერბიული ელემენტი მალე სერბიაში სრულიად მოისპობა.

ბერლინი, 10 მარტი. (ვოლფი). დედოფალი დილის 11 საათ. და 20 წ. იტალიაში წავიდა.

სტამბოლი, 10 მარტი. პორტამ აუწყა რუსეთისა და ავსტრიის ელჩებს 7 მარტს ჯუმაის ოლქში მომხდარი შემთხვევა და აპოსტოლის ბრბოს ამოხოცვის ამბავი. ამ დღეებში მოელიან დიდ სახელმწიფოთა საპასუხო ნოტას. კუნძულ კრეტის შესახებ იმედები აქვთ, რომ საქმე გაუმჯობესდება, როდესაც უმთავრესი კომისარი აცნობებს პალატას საპასუხო ნოტას და თუ შესრულებულ იქმნა ელინთა ზოგიერთი სურვილი. გენ. მანოსტუის ვაჟიშვილმა შეაიარაღა 16 კრიტელი, რომელნიც უკვე წავიდნენ საბერძნეთიდან მაკედონელ მეამბოხე ჯგუფთა დასახმარებლად. კიდევ წავა 40 კაცი. 50 გიმნაზიელსაც უნდოდა წასვლა, მაგრამ ჟანდარმერიამ ხელი შეუშალა.

სოფია, 9 მარტი. ერთის ბულგარელ მინისტრის სიტყვით, ბულგარიის მთავარს ფერდინანდს გამოუწვევია მინისტრ-პრეზიდენტი პეტროვი, რომელსაც უნდა აცნობოს, თუ რა შედეგი მოჰყვა ინგლისსა და საფრანგეთში მთავრის მოგზაურობას. ამასვე ამბობენ, რომ პეტროვი იმიტომ გაიწვია მთავარმა, რომ ბულგარიის საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრი სამსახურიდან გასვლას აპირებს და ამაზე უნდა მოელაპარაკოსო.

ვაშინგტონი, 10 მარტი. (რეიტერი). სახელმწიფო ხაზინის მდივანმა შაუმ განაცხადა, სატარიფო კანონების გადასინჯვაზე მსჯელობა ექნებათ კონგრესის შემოდგომის სესსიის დროსაო.

ჩიტა, 10 მარტი იმიერ-ბაიკალის სახალხო კითხვათა საზოგადოების პირველი კრება გუშინ მოხდა. ბევრს გული დასწყვიტა საზოგადოების წესდების ერთმა მუხლმა, რომლის ძალითაც აკრძალულია საზოგადოების გამგეობაში არა-ქრისტიანთა არჩევა.

კელცი, 10 მარტი. როგორც „კელცის გაზეთი“ იუწყება, ერთის თვის შეწყვეტის შემდეგ, განახლდა დომბროვის ნახშირის ზიდვა. ნახშირის ფასმა დაიწია.

პეტერბურგი, 10 მარტი. ვარშავის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი კოვალენსკი დაინიშნა სასულიერო დეპარტამენტის დირექტორად.

ბირჟაზე უსიცოცხლობაა, რაიცა ერთის მხრით გამოიწვია დონის როსტოვის ერთ-ერთ დიდის ბანკის გაკოტრებამ. საღამოს ჟამს ბირჟა ცოტათი გამოცოცხლდა. ფონდები მტკიცედ არის. ახალი სესხი $94^2/_8$, რენტა—87; პირველი მომგებიანი სესხი—$385^1/_2$; მეორე—$307^1/_2$; მესამე—269; ვოლგა-კამის—840; სამხრეთ-აღმოსავლეთის—128; პუტილოვის $115^1/_2$; მანთაშევის—$215^1/_2$.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

10 მარტი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა ინფანტერიის გენერლის ლინევიჩისა, 1905 წ. 9 მარტის თარიღით: „8 მარტს მტერთან შეტაკების შესახებ ცნობა არა მოსულა-რა“.

ტოკიო. მუკდენთან მომხდარ ბრძოლის ვითარება თანდათან ირკვევა. მოჯიდან მოსული ოფიცერი მოგვითხრობს: იაპონიის ჯარის ერთმა რაზმმა იერიში მიიტანა შიუტანპანზე და 23 თებერვალს პოზიცია დაიჭირა. იაპონელები რუსებთან ძლიერ ახლო იდგნენ. როდესაც იაპონელებმა მუკდენის დასავლეთის კარიბჭენი დაინახეს, სიხარულით აღფრთოვანდნენ. იაპონიის გენერლებს ასეთი გეგმა ჰქონდათ: ჯგუფ-ჯგუფად უნდა დაშვებულიყვნენ მთებიდან, მტრის ჯარისთვის გზა აექციათ და დასავლეთ კარიბჭიდან მუკდენში შესულიყვნენ. მაგრამ ჯაშუშების წყალობით რუსებმა იაპონელების განზრახვა მალე შეიტყეს. სამი ათასი მეტრის მანძილზე შუბლის ჯარისაგან წრე შეჰკრეს. მდინარის ორივე ნაპირებზე კარიბჭიდან დაწყობილი მსროლელთათვის უთვალავი ორმოები ამოთხარეს. ეს ორმოები პირველი სანგარი იყო. მეორე სანგარს წარმოადგენდა მავთულის ღობე, მესამეს—კიდევ ორმოები, მეოთხეს—ორმოებითვე შემოფარგლული კედელი სათოფურები. სულ უკან კი იდგა კარგა ბლომა რიცხვი 26 სანტიმეტრიან ზარბაზნებისა. ამისთანა დიდი და ძლიერი საველე სიმაგრეები ქვეყნით ჯარს ჯერ არ უნახავს. 24 თებერვალს, საღამოს 6 საათზე იაპონელთა ჯარი ორ ფთად დაირაზმა და ბრძოლა დაიწყო წინ, 8 მილის მანძილზე, ტრიალი მინდორი ედოთ. სანგარი არა ჰქონდათ რა, წვიმასავით წამოსული ტყვიები ჯარსა სცელავდა. ორივე მებრძოლნი დიდხანს მაგრობდნენ. მათ შორის მდებარე მანძილი მკვდრებით აივსო. ამავე დროს იაპონიის დანარჩენ რაზმებს აღმოსავლეთისა და სამხრეთის კარიბჭეებზე მიჰქონდათ იერიში. დასავლეთ კარიბჭესთან ყოფილი ბრძოლა რამდენიმე საათი უშედეგო იყო. იაპონელები სულ წინ მიიწევდნენ და ჯარის მთელი სვეები იხოცებოდა. ბოლოს იაპონელები რუსებს 2 ათასს მეტრზე მიუახლოვდნენ. მედგარი ბრძოლა კიდევ რამდენსამე საათს გაგრძელდა და ბოლოს რუსები შედრკნენ. ღამის 12 საათზე უკან დაიხიეს. იაპონელებმა ერთხელ კიდევ წაიწიეს წინ და დასავლეთ კარებიდან ქალაქში შევიდნენ. 25 თებერვალს დილის ექვს საათზე მუკდენში იაპონიის დროშები ფრიალებდნენ. ჩრდილოეთ კარებიდან გაქცეული რუსები იაპონელებმა აღარ შეასვენეს. რუსებს დიდი ზარალი მოუვიდათ. სამხრეთ კარებთან იაპონელებმა დაატყვევეს 26 კაცი, ხოლო აღმოსავლეთ კარებთან—ხუთი ათასი.

მარსელი, 10 მარტი კრეისერ „დიანა-“ს ის სამი მეზღვაური, რომლებიც შანხაიდან მოვიდნენ, ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად ალჟირს გაემგზავრნენ. მეზღვაურები რუსეთის საკონსულოს მრჩეველმა და სენ-ჟანის ფორტის სალდათთა დელეგაციამ გააცილა.—გერმანიის გემი „დაფნე“ მოვიდა მარსელში. ეს გემი კორეიაში საომარ ნუზლ-სურსათის გადასატანად იაპონიას აქვს დაქირავებული. ამ გემმა ამ ცოტა ხნის წინად იაპონიის სამხედრო მისია კუნძულ ფორმოზაზე მოიყვანა. ბალტიის ესკადრის მოლოდინში, კუნძული უნდა გაამაგრონ. „დაფნე“ მივა ჰამბურგს და იქიდან კობეს დაბრუნდება.

სიპინგაი, 9 მარტი. დილის 10 საათ. 13 წუთი. კურსი რუსულის ფულისა, რომელსაც დიდი გასავალი ჰქონდა მანჯურიაში, ლიაოიანისა, მუკდენისა და ტელინის იაპონელთაგან აღების შემდეგ დაცემულა. მართალია, ამ წლის დასაწყისში რუსის ფულის კურსმა ცოტათი დაიწყო რყევა ამის მიზეზი უნდობლობა არ იყო. ამ დროს რუსული ვერცხლი ძლიერ ცოტა იყო ხმარებაში. როდესაც ხაზინა ან რუსეთ-ჩინეთის ბანკი შედარებით მეტ ვერცხლის ფულს დაატრიალებდა ხოლმე, რუსულ მანათიანს წინანდებურად კარგი ფასი ჰქონდა. ამავე დროს სამხრეთ მანჯურიაში იაპონელთაგან გავრცელებული ქაღალდის ფული ინკოუსაც კი ძლივს-ძლივობით ჰხურდავდება. მათ მიერ აღებულს ქალაქებში პირველ საჭიროების ნუზლ-სანოვაგეზე ნიხრი იაპონელებმა ძალის-ძალად დააწესეს.

პორტ-საიდი, 10 მარტი. (რეიტერი). მოვიდა თავისუფალ ფლოტის გემი „კოსტრომა“.

ტოკიო, (შანხაიდან მიღებული), 27 თებერვალი(?). («დეილი ტელეგრაფი»). იაპონიის ფლოტის გაძლიერების პროგრამაში აღნიშნულია, რომ უნდა აშენდეს 12 ჯავშნიანი გემი და 12 ჯავშნიანი კრეისერი.

ტოკიო, 10 მარტი. (რეიტერი). ოფიციალურად. იაპონელებმა 8 მარტს შეავიწროვეს რუსები, განდევნეს პოზიციებიდან და აიღეს ჩანტუ (ჩანტიფუ უნდა იყოს). რუსის კავალერიის ერთი ნაწილი შეჩერდა 3 კილომეტრის მანძილზე ჩანტუდან ჩრდილოეთით. რუსთა დიდძალი ჯარი უკან იწევს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ, რკინის გზის გასწვრივ.

11 მარტი.

ტოკიო. ზავის საკითხის შესახებ იაპონელები ორ დასად გაიყვნენ. ის დასი, რომელსაც ოკუმა ხელმძღვანელობს, თხოულობს, ზავი ისეთ პირობებზე უნდა იყოს დამყარებული, რომ ომი აღარ განმეორდესო. ვინაიდან იაპონიის სამხედრო მდგომარეობა ამ ჟამად ხელშემწყობია, იაპონიამ შემდეგი მოთხოვნილებანი უნდა წარუდგინოსო: ნება მოგვეცეს, დავიჭიროთ პორტ-არტური, ლიაოდუნის ნახევარ კუნძული და დალნი. 2) კორეია იაპონიის მფარველობის ქვეშ დარჩეს. 3) რუსეთს ყოველივე უფლება ჩამოერთვას მანჯურიაში და აგრეთვე ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზა. 4) იაპონიას დაეთმოს სახალინი, დაეთმოს ვლადივოსტოკიც, ხოლო თუ ეს ვერ მოხერხდა—ვლადივოსტოკს იარაღი აეყაროს. 5) რუსეთს ნება არ ჰქონდეს თავისი ესკადრა იყოლიოს შორეულ აღმოსავლეთში. 6) რუსეთს გადახდეს საკმაო კონტრიბუცია.

იაპონიის რაზმმა ჩანტიფუ დაიჭირა. ჩანტიფუ მდებარეობს ჩრდილოეთით კაიუიანზე 20 მილის მოშორებით.

ლონდონი, 10 მარტი. შუადღისას მოხდა არა ჩვეულებრივი კრება მინისტრთა საბჭოსი. „ცენტრალ ნიუს“-ის სააგენტოს გაუგია მინისტრებმა განიხილეს ის წინადადება, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში ზავის ჩამოსაგდებად სახელმწიფოთა ჩარევას შეეხებაო. ცნობილი არ არის, პირველად რომელმა სახელმწიფომ შემოიტანა ეს წინადადება.—ნიუ-იორკში სანდომინგოდან დეპეშით ატყობინებენ, რადგანაც შეერთებულ შტატებთან ხელშეკრულობის კმაყოფილები არ არიან, შეიძლება ამბოხება მოხდესო. პრეზიდენტი მორალესი ამბობს: ამბოხებას კი ჩავაქრობ, მაგრამ ვაი თუ ნავთსადგურები უცხოელებმა მოვალეებმა დაიჭირონ და ეს ხომ ჩვენის ქვეყნის გალატაკებას მოასწავებსო.

ხარბინი, 10 მარტი. ხარბინიდან ქალებს ისტუმრებენ. 7 ამ თვეს გენ. კუროპატკინი სამხრეთისკენ გაემგზავრა.

ბლაგოვეშჩენსკი, 10 მარტი. ამ ბოლო დროს ხმები გავრცელდა, ხუნხუზები ჩინეთის მხარეს ამურზე გადმოსულანო. მცხოვრებთა დასაცველად, წესიერება-მშვიდობიანობის დასამყარებლად და ხუნხუზთა თავდასხმის ასაცილებლად სამხედრო გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, ქალაქებისა, სტანიცებისა და სოფლელ მკვიდრთაგან თავისუფალ მეომართა დრუჟინები შესდგეს.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუსეთის ჯარის უკან დაწევა. მუკდენის ბრძოლის შემდეგ ბევრს ეგონა, ვითომ იაპონელები ისე დაიღალნენ და მოიქანცნენ, რომ რუსებს ველარ გამოედევნებიან და გამარჯვების ნაყოფს ვერ მოიმკიანო. რუსების დევნა არც ეგრე ადვილია, რადგან რუსები, ჯერ ერთი, უკან დაწევის დროს ხიდებსა და გზებს აფუჭებენ და, მეორე, სურსათ-იარაღიც რკინის გზით მოსდით, მაგრამ ამ გარემოებამ იაპონელები ვერ შეაფერხა და მარშალი ოიამა დღესაც ისე მტკიცედ და დაჟინებით მოსდევს რუსებს, როგორც მუკდენის აღების მეორე და მესამე დღეს მოსდევდა. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დღეის იქით რუსებსაც თანდათან უფრო გაუჭირდებათ უკან დაწევა. რუსები დიდ შარა გზას ვერ ასცდებიან და უეჭველად ამ გზით უნდა იარონ. ეს გზა კი ჩანტიფუდან (ჩანტიფუ 8

ფელეტონი

ახალი ცხოვრება და ქართველი ერი.

(ხმა ევროპიდან)

I

დღეს, როდესაც ყველა ახალ ცხოვრებაზე ლაპარაკობს, როდესაც ყველა დარწმუნებულია, რომ დღეს თუ ხვალ ჩვენშიც მართვა-გამგეობის ახალი წესრიგი გამეფდება, ასეთ დროს აუცილებელია დავეკითხოთ თავს, ვართ თუ არა საკმაოდ მომზადებულნი ამ ცხოვრებისათვის, რა გავაკეთეთ მის შესახვედრად და როგორ უნდა შევეგებოთ მას. მაშინ, როდესაც ძველი წყობილების კრიტიკამ ქართველ საზოგადოებაში საკმაოდ გაიდგა ფესვი, მაშინ, როდესაც არსებულის დაწყნების მხრივ რუსეთში მცხოვრებ სხვა ერებსაც კი გაეასწარით, ამავე დროს ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით და ვაქცევთ საშინაო ცხოვრების ჩვენზე დამოკიდებულ მიზეზთაგან გამოწვეულ განუვითარებლობას. ჩვენს კულტურულ ჩამორჩენას ვაწერთ სავსებით გარეშე მიზეზებს და ამ რიგად ვცდილობთ პირადი პასუხი-მგებლობისაგან თავი გავინთავისუფლოთ მაშინ, როდესაც ეს ჩამორჩენა, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, უმთავრესად ქართველთა ცნობილ ეროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული.

დღეს დადგა დრო, როდესაც ყველაფერი პირნათლად უნდა აღვიაროთ, როდესაც გაჩუმება დანაშაულად და ღალატად ჩაითვლება დღეს უნდა დავეკითხოთ თავს ჩვენი საერთო კულტურული მდგომარეობის შესახებ და eo ipso მომავლისათვის სწორი გზა გავიკაფოთ. ერმა უნდა იცოდეს, რას წარმოადგენს ის დღეს, რომ მით ახალი გზით სიარული გაუადვილდეს. ჩვენი მდგომარეობის უტყუარ სურათის დანახვა აუცილებელია ახალი ცხოვრების შესახვედრად და ქართველი ერის არსებობისათვის. მართალია, ეს სურათი დიდ სიამოვნებას არავის არ მოგვერის, მაგრამ მით უმეტეს მისი გათვალისწინება ჩვენ დროს საჟიროებულია, თუ გვსურს, რომ მომავალში მაინც არ დავრჩეთ ის, რაცა ვართ დღეს.

ქართველებს საზოგადოთ მდიდარი ფანტაზია აქვთ და, ვინ იცის, იქნებ ჩვენ მოუსვენარ დროს იმიშიაც დავრწმუნდეთ, რომ ახალი წეს-რიგის დამყარების შემდეგ ჩვენი საერთო კულტურული მდგომარეობა უცბად შეიცვლება და ყველაფერი თავისთავად სასურველად მოეწყობა. ეს შესაძლებელია, რადგან ფანტაზიით უხვად ვართ დაჯილდოვებულნი. ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია საღი კრიტიკა და ჩვენი მდგომარეობის შესახებ ნამდვილი აზრის შედგენა. კმარა, რაც ამდენი ხნის განმავლობაში უსაფუძვლოდ ვენუგეშობდით და ჩვენს უმოქმედობას მხოლოდ გარეშე მიზეზებს ვაბრალებდით.

ჩვენ, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოგვდის იმ ცუდი შედეგების უარის ყოფა, რომელიც იქონია ჩვენში არსებულმა ბიუროკრატიულმა წესრიგმა, მაგრამ ამის გამო იმ დასკვნას სრულებით ვერ დავადგებით, ვითომ ყველაფერი პოლიციური რეჟიმის ბრალი იყოს. ჩვენთვის პირადად სასიამოვნო იქნებოდა, ეს რომ ასე იყოს, მაგრამ რადგან გარეშე [illegible]ებს ამ შემთხვევაში მაინც დიდი გ[illegible] ჰქონია, ამიტომ ნამდვილი მიზეზებ[illegible]ებნოთ, სიმართლე უშიშრად და მოურიდ[illegible]ვიაროთ, რადგან მხოლოდ ამ საშუალებით შევიძლებთ გასწორებისათვის საჭირო საშუალებათა გამონახვას. თავის მოტყუილება და ყალბი იმედები კი ყველაზე უფრო მავნებელია.

როგორც ვთქვით, თვით ქართველი საზოგადოება უნდა დავსვათ ბრალდებულის სკამზე იმ არა სასურველ სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობის გამო, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით და რომლის განხილვაც შეადგენს ჩვენი წერილის უმთავრესს საგანს.

ვინც ქართველი ერის თანამედროვე კულტურულ მდგომარეობას სერიოზულად დაკვირვებია, მას თვალწინ უეჭველად ბევრის მხრივ სამწუხარო სურათი გადაეშლებოდა. ყოველგან ნათლად სჩანს ახალი საეკონომიო ცხოვრების სრული გაუგებრობა, ყოველგან გაბატონებულია დაუდევრობის, სიზარმაცის და გონებრივი სიმჩატის პრინციპი. ეს სამი თვისება, რომელიც, ჩვენის და უცხოელთა დაკვირვებით, ქართველების დამახასიათებელ ეროვნულ თვისებას შეადგენს, იჩენს თავს ყოველ ჩვენს მოქმედებაში და განსაკუთრებით სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში, თანამედროვე ინდუსტრიალიზმი კი სულ სხვა პრინციპზეა დამყარებული. ის, როგორც ცნობილია, თხოულობს ყაირათს, შრომას და შეგნებულ, აწონილ-დაწონილ მოქმედებას. თუ რომელიმე საზოგადოება სულ სხვა კანონებს ემორჩილება, ცხადია, იქ წარმოუდგენელია თანამედროვე საეკონომიო წესრიგის დამყარება და მისი თანდათანი განვითარება. ეს უბრალო ჭეშმარიტება, რომელიც, სამწუხაროდ, ქართველებს ჯერაც ვერ შეუგნიათ, მტკიცდება, როდესაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას თვალს გადავავლებთ. უცხოეთში მყოფთათვის ადვილი შესამჩნევი და დასანახია, თუ რამდენად აფერხებს ეს ეროვნული თვისებები ქართველი ერის ეკონომიურ წარმატებას. მუდამ საქართველოში მცხოვრებნი ეჩვევიან ამ თვისებებს და ამიტომ არ უკვირთ, პირიქით, დიდ უმრავლესობას ეს თვისებები კანონიერ და სასურველ მოვლენადაც მიაჩნია.

ევროპას ადგილობრივ თუ არ გაეცანით, ისე ძნელი წარმოსადგენია ის უფსკრული, რომელიც არსებობს ევროპიელთა და ქართველთა შორის ზნე-ჩვეულებათ მხრივ (რა თქმა უნდა, ჩვენ არა გვაქვს სახეში კულტურული განსხვავება, რომლის არსებობაც ყველასათვის ცხადზე უცხადესია). დაწინაურებულ ევროპიელთა ზნე-ჩვეულების გაცნობის შემდეგ ცხადია, თუ რისთვის არ განვითარდა ქართული ვაჭრობა-მრეწველობა, თუ რისთვის უცხო ერის წარმომადგენლებმა ასე ადვილად მრეწველობის თითქმის ყველა დარგი თავის ხელში ჩაიგდეს და სხვ. საზოგადოდ, ქართველთა კულტურულ მდგომარეობას სულ სხვა თვალით ვუცქერით. ბევრი რამ წინეთ აუხსნელი ადვილად გასაგები ხდება. ამ მხრივ, არავითარ წიგნს ან სხვა რამეს არ შეუძლია იმის მიცემა, რასაც იძლევა უბრალო დაკვირვება. დიაღ, ქართველთა ეკონომიური ჩამორჩენა ადვილი გასაგები ხდება და სრულებით საკვირველი არ არის, თუ ჩვენში ახალმა საეკონომიო ხანამ ფეხი ვერ მოიკიდა, რადგან, როგორც ვთქვით, ვაჭრობა-მრეწველობის ხანა,—ეს უმთავრესად შრომის და გონიერ მოქმედების ხანაა. და ქართველთ კი სწორედ ეს თვისებები აკლიათ...

ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ ქართველმა ერმა ვერ შესძლო ახალ დროსთან შეგუება. ამის დასამტკიცებლად კომმენტარიები მეტია, რადგან ძველი დროის ჩვეულებებს ქართველ საზოგადოებაში ეხლაც ყველასათვის თვალსაჩინოთ აქვს ფესვი გადგმული, ცხოვრებას გართულებულ პირობებს ძველებურად ვუცქერით, მომავლისთვის ზრუნვა სამარცხვინო საქმედ მიგვაჩნია. ვამპარტავნობთ კიდეც ჩვენი „არისტოკრატიული ბუნებით“, რომელსაც ვითომ არ შეფერის ვაჭრობა-მრეწველობა და სხვა ამ გვარი; ვამაყობთ სულელურ გულკეთილობით, რომელიც ვითომ ქართველი ერის საუკეთესო თვისებას შეადგენს. ასეთ დაუდევრობას იჩენს მთელი ქართველი საზოგადოება და არა მარტო ეგრედ წოდებული „ბრწყინვალე წოდება“, რომელმაც დიდი ხანია დაკარგა ფაქტიურად თავისი „ბრწყინვალება“ და ეკონომიურად განადგურების გზას დაადგა. პროგრესიული ჯგუფებიც ამავე აზრით იკვებებოდნენ და სრულებით ვერ ამჩნევდნენ იმ განსაცდელს, რომელიც მოელის ქართველთა ეროვნებას, თუ ეს შემდეგშიაც ასე გაგრძელდა. ერთის სიტყვით, დაუდევრობა და გონებრივი სიმჩატე სიზარმაცესთან ერთად ქართველთა საყვარელ მცნებათ გამხდარა და სწორედ ამ გარემოებით ირკვევა ყველაფერი, რაც მხოლოდ ჩვენს სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას შეეხება. სწორედ ამით აიხსნება, რომ უცხოელებმა ადვილად ისარგებლეს ჩვენი სრული მოუმზადებლობით და საოცარი გულუბრყვილობით და საქართველოში ეკონომიურად გაბატონდნენ...

ვინც ქართველ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას ცოტათი მაინც ადევნებდა თვალ-ყურს, ის უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ქართველებმა ამ მხრით შესამჩნევი ნაბიჯი ვერ წასდგეს წინ. მრეწველობა სავსებით უცხოთა ხელშია. ამას ვერ უარჰყოფს თვით დიდი ოპტიმისტიც. ვაჭრობას კი თუმცა ვეტანებით, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ქართველთა შორის უმეტესად წვრილი ვაჭრობაა განვითარებული. თუმცა ჩვენ არ გვაქვს სტატისტიკური ცნობები საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების შესახებ, მაგრამ უამისოდაც ადვილად შეგვიძლიან საერთოდ სწორი წარმოდგენის შედგენა, თუ ვინ ატრიალებს ჩვენში სავაჭრო კაპიტალს. საკმაოა მხოლოდ დაკვირვება. ავიღოთ ვაჭრობა-მრეწველობის ცენტრი ტფილისი და ბათომი. ორსავე მთავარ სავაჭრო ქალაქში იზრდება მეწვრილმანეთა რიცხვი და საზოგადოდ წვრილი ვაჭრობა. თუ მხოლოდ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას, ყალბ დასკვნას დავადგებით ვაჭრობის შესახებ. მხედველობაში მისაღებია არა მარტო ვაჭართა ან მრეწველთა რიცხვი, არამედ უმთავრესად ამა თუ იმ სავაჭრო ან სამრეწველო დაწესებულების სიდიდე. ამ შემთხვევაში კი ცხადი იქმნება, რომ ვაჭრობა, საქართველოში en gros უცხოელთა მონოპოლიას შეადგენს. მაშინ, როდესაც სხვა ერნი სწრაფად ანვითარებენ კაპიტალისტურ ნიადაგზე დამყარებულ მსხვილ წარმოებას, როდესაც ისინი ეგუებიან ახალ ხანას და მით ევროპიულ კულტურას იძენენ, სწორედ ამ დროს გაღატაკებულ ქართველებს სძინავთ და ქეიფს და უმოქმედობას ეძლევიან. ეროვნული მეურნეობის განუვითარებლობა და ეროვნული სიმდიდრის უსარგებლოდ გაფლანგვა,—აი ქართველთა მოღვაწეობა ეკონომიურ ცხოვრებაში...

განა საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიაც ჩვენგან დამოუკიდებელ გარეშე მიზეზებმა გამოიწვია ასეთი მდგომარეობა? ეს რომ ასე იყოს, მაშინ აუხსნელი რჩება, თუ რა საშუალებით განავითარეს თავიანთი ვაჭრობა მრეწველობა საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებმა. ისინიც ხომ იმავე პოლიტიკურ პირობებში ცხოვრობდნენ, როგორც ჩვენ? იქნებ მათ უფრო ავიწროებდნენ, ვიდრე ჩვენ და, მიუხედავათ ამისა, მათ საკმაოდ დაატრიალეს კაპიტალი და საქართველოში კაპიტალისტური წარმოება შექმნეს. რით უნდა ავხსნათ ეს პირველი შეხედვით საოცარი მოვლენა? მხოლოდ მით, რომ იმათ მალე გაიგეს ახალი საეკონომიო დროს სული, კარგად შეიგნეს, რომ ჩვენს დროში ძველებურად, აზიურად ცხოვრება შეუძლებელია, რომ არსებობის პირობები გართულდა და ეცადნენ ამ პირობებთან შეთვისებას. მკითხველი ხედავს, რომ პოლიტიკურ რეჟიმს აქ დიდი ბრალი არ მიუძღვის და, თუ ჩვენ მაინც საკვირვლად ჩამოვრჩით ეკონომიურად სხვა პატარა ერებს, ეს იყო შედეგი მხოლოთ ჩვენი სიმჩატის და უმოქმედებისა. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, ამბობს ბრძნული ქართული ანდაზა, და ეს სწორეთ ქართველებზე ითქმის.

ქართველი ერი რომ საოცრად ჩამორჩა ახალ ეკონომიურ ცხოვრებას, რომ ის სრულებით მოუმზადებელი შეხვდა ინდუსტრიალიზმის ხანას, ეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია. ამას მოწმობს თვით თანამედროვე ქართველი ინტელიგენციის ფსიხოლოგია. დაეკითხეთ, მაგ., საზოგადო მოღვაწეს ამა თუ იმ სასარგებლო კულტურულ დაწესებულების დაარსების შესახებ, —ის უთუოდ დაუყოვნებლივ გიპასუხებთ: „ფული არ გვაქვს, ქართველები ღარიბნი ვართ; ამ საქმის დაწყება შეუძლებელიაო“ და სხვ. რამდენჯერ გაგვიგონია ასეთი პასუხი, რამდენი კეთილი სურვილი სამუდამოდ გამქრალა ასეთი სასტიკის და გულის მომშხამავ სიტყვების გამო?! დიაღ, ქართველის ფსიხოლოგიაც კი ქართველთა გაღატაკების გამომხატველია. და ნუ თუ ყველა ამის შემდეგ არ უნდა დავრწმუნდეთ ჩვენს ჩამორჩენაში, ნუ თუ ეხლა მაინც არ დადგა დრო, როდესაც აუცილებელია ენერგიული ზომების მიღება ეროვნული მეურნეობის გასავითარებლად?

ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენის საუკეთესო ილლიუსტრაციად უნდა ჩაითვალოს ევროპიელთა აზრი ჩვენ შესახებ. ევროპიელნი, რომელთაც შემთხვევა ჰქონდათ საქართველო და მისი მცხოვრებნი ადგილობრივ გაეცნოთ, განცვიფრებულნი არიან ჩვენი სრული მოუმზადებლობითა და აზიურ ჩვეულებებით, რომელიც ჩვენში დღემდის სავსებით შენახულა.

სიმართლეს მოკლებული არაა გერმანელ ავტორის აზრი, რომელიც გამოთქმულია ერთ დიდ, გავრცელებული ენციკლოპედიურ ლექსიკონში: „საზოგადოების მხრივ ქართველები შესდგებიან განადგურებისაკენ მიმავალ თავად-აზნაურობისაგან და ღარიბ გლეხობისაგან. მათი სიზარმაცის გამო ქართველებს არ შეუძლიათ კავკასიის სხვა ერებს, განსაკუთრებით სომხებს, მეტოქეობა გაუწიონ“.

თუ რა გავლენა იქონია ასეთმა ეკონომიურმა ჩამორჩენამ ჩვენს საერთო კულტურულ მდგომარეობაზე და რა გავლენას იქონიებს მომავალში, ამას შემდეგ წერილში განვიხილავთ.

ლეო გეორგიელი.

მარტს იაპონელებმა აიღეს) თანდათან მარჯვნივ, აღმოსავლეთისკენ გადადის, გირინზე გადის და შემდეგ ისევ ხარბინისკენ, რკინის გზისკენ უხვევს.. ცხადია, რომ რუსები ამ გზით უნდა წავიდნენ, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ეს გზა თითქმის 100 ვერსით შორდება რკინის გზას და, მაშასადამე, რუსეთის ჯარისთვის სურსათისა და ათასნაირ საჭირო მასალის შოვნა და დროზე მიწოდებაც გაჭირდება. იაპონელები ამბობენ, რუსები ჩანტიფუსა და გირინს შუა გამაგრდებიან და იაპონელთა დროებით შეჩერებას ეცდებიანო. გირინსა და ჩანტიფუს შუა მხოლოდ ორი გამოსადეგი პოზიციაა—ფინ-ხუა-სიანი და იტუნჯოუ. ფინ-ხუა-სიანი რკინის გზის მახლობლად, ჩანტიფუს ჩრდილოეთით, 50 ვერსის მანძილზეა, იტუნჯოუ უფრო აღმოსავლეთითაა, ჩანტიფუდან 120 ვერსის მანძილზე. თუ იაპონელებმა დღეის იქითაც ისე სწრაფად სდევნეს რუსები, როგორც დღემდის სდევნიდნენ, ფინ-ხუასიანს 3—4 დღის შემდეგ მიადგებიან. თუ ვინიცობაა ამ ქალაქში რუსები ვერ გამაგრდნენ, მეორე ქალაქში,—იტუნჯოუში—გამაგრება უფრო გაუძნელდებათ;—ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, დამარცხების შემდეგ უკან დახევა ისე გაუჭირდებათ, რომ შეიძლება მუკდენზე უარესი დღეც დაადგეთ. ასეა თუ ისე, თუ რუსები იაპონელებს ორსავე ქალაქში შეებრძოლნენ, ეს მხოლოდ დროებით გამაგრება, იაპონელთა იერიშების მოგერება და დევნის შეჩერება იქნება. უკან მიმავალ ჯარის გაჭირვება სწორედ მაშინ დაიწყება, როცა ეს ჯარი რკინის გზას დაშორდება და უვარგის გზებით მოუხდება სიარული (რ.).

8 მარტს იაპონელებმა ჩანტიფუ აიღეს. ჩანტიფუ საკმაოდ მოზრდილი ქალაქია, ბუნებრივად გამაგრებულია და გირინის ჩრდილოეთით ყველაზე უფრო კარგი პოზიციები აქვს. ჩანტიფუ კაიუიანის ჩრდილოეთით-30 ვერსის მანძილზეა (ტელინიდან 65 ვერსით არის დაშორებული).

გენ. ლინევიჩი იუწყება, 8 მარტს ბრძოლის შესახებ მოხსენება არ მომსვლიაო (იაპონელებმა სწორედ ამ დღეს აიღეს ჩანტიფუ).

დღევანდელ დეპეშაში ტოკიოდან საინტერესო ცნობებია მუკდენის აღების შესახებ.

რუსეთის ჯარის ზარალი მუკდენის ბრძოლის დროს. რუსეთის სარდლები ჯერ-ჯერობით მალავენ და არ აცხადებენ იმ ზარალს, რომელიც მუკდენის ბრძოლის დროს მოუვიდათ. რუსული გაზეთები დაჟინებით თხოულობენ, შეგვატყობინეთ, მართალია თუ არა იაპონელთა ცნობები, ვითომ რუსეთის ჯარს ურიცხვი ზარალი მოუვიდაო.

„დეილი ტელეგრაფს“ ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: გენ. ლინევიჩს ეხლა მხოლოდ 100,000 კაცი ჰყავს. დანარჩენებს ბრძოლა არ შეუძლიანთ. თუ რუსებმა მართლა გაჰბედეს და იაპონელებს შეებნენ, ისეთი დღე დაადგებათ, რომ მუკდენიც დაავიწყდებათ და პორტ-არტურიც (ნ. დ.).

„რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი ნიუჩუანიდან იუწყება: ბრძოლის ველიდან მოსულ ამბებიდანა სჩანს, რომ რუსები ყოველ დღე ტყვედ ნებდებიან იაპონელებს და რუსების ტყვეთა რიცხვი თანდათან მრავლდებაო (ნ.).

„ტაიმს“-ს ტოკიოდან ატყობინებენ: დამშეულნი, დაჭრილნი და მოქანცული რუსები ასობითა და ათასობით მოდიან იაპონელთა ბანაკში. ჯარს სურსათი არა აქვს და ამიტომ ან სიმშილით უნდა გაწყდეს, ან და იაპონელებს დანებდეს. რუსების რაზმებიც სწორედ ასე შვრებიან: შეიკრიბებიან ერთად და იაპონელებისკენ გამოსწევენ, იაპონელები იარაღს აჰყრიან, მერე ჩააცმევენ, გააძღებენ და იაპონიაში ჰგზავნიანო. (ნ. დ.).

„კენიგს. გაზეთს“ ტოკიოდან ატყობინებენ: იაპონელებმა მუკდენის ბრძოლის დროს 100,000 რუსი დაატყვევეს. ტყვეთა რიცხვი თანდათან მატულობს (ნ.).

„ტაიმს“-ს მუკდენიდან ატყობინებენ: რუსების ჯარი სულით დაეცა, იმედი გადაუწყდა და გზაში აუარებელ ზარბაზანსა და სურსათს თავი მიანება. ეს ჯარი უკან იწევს, მაგრამ ვაი იმ დაწევას! (ნ. ვ.).

„ნოვოე ვრემია“-ს ლონდონიდან ატყობინებენ: იაპონელები ოფიციალურად აცხადებენ, ვითომ მუკდენის ბრძოლის დროს რუსებს 156,000 კაცი და 500 ზარბაზანი დააკლდათ. კერძო კორესპონდენტების სიტყვით, იაპონელებმა რუსებს დაუჭრეს და მოუკლეს 150,000 კაცი, ტყვედ წაიყვანეს 100,000-მდე და ხელთ იგდეს 700 ზარბაზანი და იმოდენა სურსათი, რომ იაპონიის ჯარს ხუთ თვეს ეყოფაო (ნ. ვ.).

ზავის პირობები. იაპონელები ამბობენ, რუსეთს შევურიგდებით, 5 მილიარდი ფრანკი უნდა გადაგვიხადოს, კვანტუნი და სახალინი ჩვენ დაგვითმოს და 25 წლის განმავლობაში შორეულ აღმოსავლეთში ფლოტი არ იყოლიოსო (ნ.).

ვლადივოსტოკის მახლობლად 40,000 იაპონელი გადავიდა და, საცაა, რკინის გზამდე ავა. ამ რაზმს მეორე და მესამე რაზმებიც მისდევენ. ამ ცოტა ხანში, იაპონელების სიტყვით, ვლადივოსტოკსაც ალყას შემოარტყამენ და რუსეთის ციხეს იმავე დღეს დააყენებენ, რაც პორტ-არტურს დააყენეს (ნ.)

რუსეთის ჯარს ხარბინის მხრით საფრთხე მოელის. „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტი იუწყება: ხარბინში ათი-ათასობით მოჰყავთ დაჭრილები; რადგან მრავალი რუსი ექიმი იაპონელებმა დაატყვევეს მუკდენში, ამიტომ დაჭრილები უექიმოდ დარჩნენ. მაგრამ ამას ვინ ჩივის, რუსეთის ბიუროკრატიამ ხარბინში ქლოროფორმი და იოდოფორმიც კი ვერ გამოჰგზავნა. დახურული ვაგონები არ არის. დაჭრილებს ღია ვაგონებში აწვენენ და ამ ქარბუქსა და ყინვაში ხარბინამდე მოჰყავთ. ძალიან ბევრი დაჭრილი გაიყინა. მრავალი მოუვლელობისაგან კვდება. ხარბინის რკინის გზის უშველებელი სადგური გზაში მომკვდარ ჯარის-კაცთა გვამებით გაივსო. (ნ.).

მუკდენის ბრძოლა და ყველიერი. უცხოელებს ძალიან გაუკვირდათ რუსების გულ-გრილობა კუროპატკინის დამარცხებისადმი. იმ დროს, როცა იაპონელებმა მუკდენი აიღეს, რუსეთის მთელი ჯარი გაანადგურეს, ათი-ათასობით გასწყვიტეს, სწორედ ამ დღეებში მთელს რუსეთში გახურებული ქეიფი და ლხინი იყო. მუკდენის აღებამ პეტერბურგისა და რუსეთის არც ერთ სხვა ქალაქის ცხოვრებაზე არავითარი გავლენა არ იქონია: ყველგან ხალხი მხიარულობდა, ქეიფობდა და ლხინობდა. რესტორანებსა და კაფეშანტანებში ხომ სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა.

„ნოვოე ვრემია“-ს გამომცემელი ბ. სუვორინიც კი ჩივის ამას, მაგრამ რას იზამ, როცა ხალხის გულგრილობა და სულიერი განწყობილება პატრიოტ ასკეტების ტირილს არ ემორჩილება. ეს ფაქტი ცხადათ ამტკიცებს, რომ ხალხს ეხლანდელი ომი არ უნდა და არც ეინტერესება (ნ.).

სხვადასხვა ამბები. „რუს. სლ.“-ს შანჰაიდან დეპეშით ატყობინებენ: იაპონელები რუსეთის შინაურ საქმეებს გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს და ამისთვის ცალკე ბიუროც კი დააარსეს. ეს ბიურო ჟურნალ-გაზეთებიდან რუსეთის შესახებ ყოველნაირ ცნობებს ჰკრეფავს და ამით კარგადაც სარგებლობს (რ. ს.).

«ბერლ. ლოკ. ან.»-ს ტოკიოდან ატყობინებენ: ამერიკისა და ინგლისის სამხედრო აგენტებმა რუსეთის ჯარს თავი მიანებეს, იაპონელების მხარეს გადავიდნენ და ეხლა ტოკიოში მოდიანო (ნ.).

ახალი ამბავი

5 მარტს მუხრანში თავი მოიყარა 3,000 კაცმა და მთავრობისგან გამოგზავნილს **თ. ჯანდიერს წარუდგინა თავისი მოთხოვნილებანი.** ხალხის მხრივ ამორჩეული პირები—დეპუტატები—ლაპარაკობდნენ. ამ მოლაპარაკებას დაესწრო თ-დ მუხრანსკის მოურავი ვას. მირიანაშვილი. ამის შემდეგ, 8 მარტს, მირიანაშვილი დუქანში შეხვდა ერთ დეპუტატთაგანს,— შაქრო შავხაშვილს და რევოლვერით იწია მაზე, მერე თავის მსახურს გაალახვინა იგი. ეს ამბავი რომ შეიტყო **ხალხმა, მეორე დღესვე მოიყარა თავი თ-დ მუხრანსკის სახლთან,** სადაც მოურავი ეგულებოდათ. მაგრამ მოურავმა დროზე უშველა თავს და საცალა გადაიკარგა. ყოველ მხრიდან დაკეტილ სახლს ხალხმა დაუშინა თოფები და ქვები და ფანჯრები ერთიანად ჩალეწა.

◆ როგორც „ცნ. ფ.“-ს გაუგია, დუშეთის მაზრაში, მაზრის უფროსის შუამდგომლობის თანახმად, ჯარი გაუგზავნიათ.

◆ იგივე გაზეთი იუწყება, რომ ტფილისიდან ქართლშიაც **გაუგზავნიათ მსროლელთა პოლკის ერთი ბატალიონი.**

◆ რადგანაც ყოველ გაზაფხულის პირზე შირაქის მინდვრიდან აუარებელი ცხვარი ჩამოივლის ხოლმე ქალაქზე, **მეცხვარეებს** შუამდგომლობა აღუძრავთ ქალაქის თვით-მმართველობის წინაშე, მნაცაკანის ხიდის **გასასვლელი გადასახადი შეგვიმცირეთო.**

◆ ხუთშაბათს, 17 მარტს, საარტისტო საზოგადოების დარბაზში გამართული იქნება **კონცერტი ტფილისის ქართულ საფილარმონიო საზოგადოების სასარგებლოდ.** მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი სოფ. დ. დიასამიძისა, ბარბარე მ. ამირაჯიბი, ანასტასია ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და ვ. ზაგიუ; ბბ. ალ. მირანოვიჩი, სტ. ბარხუდარიანი, ალ. რჩეულიშვილი, ვიოლონჩელისტი თავ. ილ. აბაშიძე, ბ. ნასიძე, ქართული ხორო და ორკესტრი ზაქ. ფალიაშვილის ლოტბარობით. იმედია, ამ კონცერტს საზოგადოება ბლომად დაესწრება და მით ხელს შეუწყობს საფილარმონიო საზოგადოებას, რომელიც სრულიად ღირსია თანაგრძნობისა.

◆ სამეურნეო საზოგადოების ყოფილ ვიცე-პრეზიდენტის ხატისოვის სახელობაზე საბაღოსნო სკოლაში დაარსებულ სტიპენდიისათვის ხელის მოწერა იყო გამართული. ახლა **სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი სთხოვს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს,** შეატყობინოს შეკრებილი ფულის ანგარიში.

◆ საგუბერნიო მმართველობამ **სთხოვა მაზრის უფროსებს**—წარმოგვიდგინეთ ცნობები, წარსულ წელს სხვადასხვა ადგილას რანაირი მოსავალი იყოვო.

◆ **ქალაქის მებაღეებიც გაფიცულან.** დიდუბისა და ორთაჭალის ბაღებში მოჯამაგირე—მომუშავენი იკრიბებოდნენ სხვადასხვა ადგილს და თათბირობდნენ, როგორ გაიადვილონ აუტანელი ჯაფა. დღისით ხომ მუშაობენ და ღამეც ძილი არა აქვთ, რადგან შუაღამემდე უნდა შეამზადონ ქალაქში წამოსაღები საპალნეები და გაუთენებლივ გამოეშურონ. მოლაპარაკების შემდეგ მოჯამაგირეებმა განუცხადეს მებაღეებს, რომ ამას შემდეგ მხოლოდ დღისით იმუშავებენ და საპალნეებსაც მზის ამოსვლისას წამოიღებენ. მებაღეებს არ მოეწონათ მოჯამაგირეების ურჩობა, ხოლო ვერა გააწყეს-რა და ამიტომ იმათაც ერთმანეთში მოლაპარაკება გამართეს. უკანასკნელი კრება ჰქონდათ 10 მარტს, ორთაჭალაში, და იმ აზრს დაადგნენ, რომ იმათაც აღარ შეუძლიანთ ბაღების აღება წინანდელ პირობებით, რადგან ამას შემდეგ მოჯამაგირეების დაჭერასა და ბაღების შემუშავებას მეტი ხარჯი დასჭირდება. ამიტომ გადასწყვიტეს, ბაღების პატრონებს მოსთხოვონ იჯარის შემცირება. მომეტებულ ნაწილად ბაღები წილში აქვთ აღებული და მამულის პატრონს შემოსავლის ნახევარს, მესამედსა ან ორ მეხუთედს აძლევენ. ამას შემდეგ-კი, ამბობენ, მხოლოდ მეოთხედისა და მეხუთედის მიცემა შეგვიძლიანო. ამ მოლაპარაკების დროს, სამის დღის განმავლობაში, ორთაჭალისა და დიდუბის ბაღებიდან მწვანილი აღარ მოდიოდა, ეხლა-კი ისევ ეზიდებიან.

◆ დღეს, 12 მარტს, ავლაბრის თეატრში **სახალხო წარმოდგენები დაიწყება.** წარმოდგენების გამმართველმა სომეხთა და ქართველთა ახალგაზდობამ,—ამ ორი თვის წინად წარმოდგენების მართვა შესწყვიტა ავლაბრის თეატრში და თეატრის გამგეს მოსთხოვა ქირის დაკლება, რათა წარმოდგენები უფრო გაეიაფებინათ. ბოლოს მაინც ამხანაგობამ გაიმარჯვა და ახლა წარმოდგენებზე სიარულის ფასი 10—50 კაპ. იქნება, დღეს წარმოადგენენ „მელანიას ოინებს“. ქართველ-სომეხთა ამხანაგობას თათრებიც შეუერთდებიან და ამ ახლო ხანში წარმოდგენები თათრულადაც გაიმართება.

◆ გუშინ ფოთის ქალაქის მოურავმა **ბ-ნ ნიკოლაძემ აცნობა ტელეგრამით ტფილისის მოურავს** ერთად-ერთი მიზეზი საქონლის გამოუგზავნელობისა ის არის, რომ არც რკინის გზას და არც საზღვაო საზოგადოებებს არა ყავთ მომუშავენი. ამასთანავე—რკინის გზას ფოთში საკმაო ვაგონები არა აქვს. სთხოვეთ რკინის გზათა უფროსს—მოახდინოს განკარგულება, გამოგზავნოს ვაგონები, და მაშინ ფოთის თვით-მმართველობაც ძალას დაატანს საზღვაო საზოგადოებებს, რომ მუშები დაიქირაოს.

◆ **გუშინ, 11 მარტს, გაზეთი „მშაკი“ არ გამოსულა.** ასოთ-ამწყობნი გაფიცულან და ხელფასის მომატებას თხოულობენ.

◆ დღეს საარტისტო საზოგადოების თეატრში სომხურ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ **წარმოდგენილ იქნება „განთიადი“,** დრამა ს. თარაიანისა.

◆ რადგანაც **ტფილისისა და ბაქოს საზოგადოებაში ეჭვი აღიძრა** იმის შესახებ, რომ ის რეფორმები, რომელიც შემოღებულ იქნება რუსეთის შიდა გუბერნიებში, კავკაზიაზე არ გავრცელდებაო, ერევნის ქალაქის მოურავი, მელიქ-აღამალოვი სთხოვს ტფილისის ქალაქის მოურავს, ამ საკითხზე თავისი აზრი და საბჭოს დადგენილება შეატყობინოს. მელიქ-აღამალოვი იმ აზრისაა, რომ კავკასიის გუბერნიების ყველა ქალაქების მოურავები უნდა შეიკრიბნენ ტფილისში, რომ თათბირი და რამე გადაწყვეტილება იქონიონ ამ საგანზე და სთხოვს ბ-ნ ვერმიშევს, ამის თაოსნობა იკისროს. მელიქ-აღამალოვი ბოლოს სწერს, თუ ვინიცობაა, კავკასიის წარმომადგენლებს არ მისცემენ ნებას, მონაწილეობა მიიღონ მთელი რუსეთის კანონ-მდებლობის შემუშავებაში, საჭიროა აღიძრას შუამდგომლობა, რომ მონაწილეობის მიღების ნება იმ კანონმდებლობის შემუშავების დროს მაინც მოგვცენ, რომელიც შეეხება კავკასიას.

◆ ფოთიდან იტყობინებიან, რომ 9 მარტს ფოთის ფოსტის კანტორას ვიღაც უცნობი **შეიარაღებულები თავს დასხმიან,** წაუღიათ 300 მანათამდე და გაქცეულან.

◆ ტფილისში, ადგილობრივ ეპარქიის ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით, შესდგა **კომისია სოფელ ჩხარში ცეცხლისაგან დაზარალებულ სომეხთა დასახმარებლად.** ბ-ნ გუბერნატორმა ნება დართო, ამ მიზნით შემოწირულება შეგროვდეს. ამ თვის 10-ს სოფელ ჩხარში გაემგზავრება ერთი კაცი, რომელმაც პირადად უნდა დაურიგოს საჩუქრები ადგილობრივ სომხებს. ცეცხლმა იმსხვერპლა თურმე 20 სახლი და 40 დუქანი. ზემოხსენებულ კომისიას თავმჯდომარეობს გ. თუმანოვის მეუღლე კნეინა მ. თუმანოვისა („მშაკი“).

◆ სანსკრიტის ცნობილი პროფესორი, **ლეოპოლდი შრედერი სამეცნიერო მიზნით კავკასიაში წამოვა.** პროფესორი ლაგოდეხში მარტსა და აპრილში ხუთ კვირას დაჰყოფს („მშაკ.“).

◆ გუშინ მე-2 კლასიკურ გიმნაზიის მოწაფეებს სასწავლებლის მთავრობამ გამოუცხადა, ახალ განკარგულებამდის სასწავლებელი დაიკეტაო. მე-8 კლასის მოწაფეებს შეუძლიანთ ექსტერნად ჩაეწერონ და მაისის გასულს დასამთავრებელი ეგზამენი დაიჭირონ, დანარჩენ კლასების მოწაფეები კი ისევ იმ კლასში დარჩებიანო.

◆ როგორც ქართლიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში **გორი-ჯვრის ეკკლესია გაუქურდავთ.**

◆ სოფ. **ჩხარში დაზარალებულ სომეხთა სასარგებლოდ** ტფილისის ვაჭრებს შორის ხელისმოწერა გაიმართა და შეგროვდა 850 მანათი.

სადღეისო

ძველი და ახალი.

მდინარე...

კიდეთა შორის გაშლილი, იგი ზანტად მიიზლაზნება ამ თვალ-უწვდენელ მინდორ-ველეში. მისი წყნარი, დადინჯებული ზედაპირი ჰაერის ხვევნა-კოცნით განცხრომას ეძლევა და კიდეებთან მებრძოლნი მისი ოდნავი ზვირთები საოცნებოდ ეთამაშებიან მზის უხვ სხივებს.

მხოლოდ ეთამაშებიან...

მათ შორის სივრცეს მარტოოდენ უფსკრული შეუქმნია! მდინარე კი სულ მიდის, მიიზლაზნება და მოძრაობს.

რისთვის, ან სად მიდის? იქ, სადაც, მისი ფიქრით, სუფევს ბედნიერება, სიცოცხლე—აღსავსე სიკეთით..

მაშ მის არსებობის აზრს უნდა შეადგენდეს მარტოოდენ მოქმედება და მისწრაფება.

რაღად მიდის წყნარად, ზლაზნით, დინჯად?!. ეს თვითონ იცის!

დადგება დრო, დაიხშობა ჰაერი, წყლით გაჟღენთილი ღრუბლები აცრემლდებიან და გიჟმაჟი ნიაღვარი დედამიწაზე დაეშვება.

შორს, შორს სადღაც ელვებს ცაში ჭექა-ქუხილი, სატანიურის ხარხარ-სიცილით თავს მოევლება დაძინებულ არე-მარეს. და ეს სიწყნარე, სიმშვიდე და ვითომდა ბედნიერი განცხრომა არწივის ყეფად შეიცვლება...

აგერა, გესმით?

ჰაერის სრბოლამ შეჰქმნა ქარი და ქარმა დაჰბადა ახალი ტალღა-ზვირთები.

ზვირთები აღსავსენი დაუშრეტელ ძალ ღონითა და გაორკეცებულის მისწრაფებითა.

ძველი ტალღები თუმცა შეინძრნენ, მაგრამ ზომიერება—გონიერებას ჯერ არ ჰკარგავენ.

იწყება ბრძოლა. შვილი მამას ებრძვის, მამა შვილს, მშობელი—შობილს, ახალი ძველსა და ძველი ახალს! და აი, ისედაც აბობოქრებული, მრგვინავი მდინარე გარდიქმნა რაღაც შფოთით აღსავსე არსებად.

დაიწყო ბრძოლა, ბრძოლა მწვავი, გაცხარებული. რა უნდათ ახლებს?

მისწრაფება, ბედნიერება!.. შექმნა აზრიანი არსებობისა.

—რა საშინელებას, უნიადაგობას შეადგენს ეს დაუსრულებელი მისწრაფება, ეს თავგანწირულება, აღსავსე უაზრობით.., ამბობენ ძველები, დარწმუნებულნი თავიანთ აზრის სიმართლეში, აღჭურვილნი ცხოვრების გამოცდილებით.

—რა ბედნიერებას შეადგენს ახალი აზრის პოვნა, მისი შეუჩერებელი განხორციელება, რაიცა ითხოვს გმირობას, თავგანწირულებას, ბრძოლას და... ამბობენ ახლები, ძველების ურჩნი.

—მდინარის სვლა არ უნდა გადასცდეს მის კალაპოტს, მისი ზედა-პირი ყოველთვის უნდა კიდეთა შორის იყოს მომწყვდეული და კიდის გადაცილების სურვილს შეუძლებლობა უნდა ეწოდოსო.

ეს შეუფერებელი კანონია და მას ჰქვიან სახელად ზომიერება.

„უნდა შევირჩინოთ სიცოცხლე“,—ეს არის მათი მოთხოვნილება.

„უნდა გარდავქმნათ, აღმოვაცენოთ ახალი სიცოცხლე“,—აი, არსებობის აზრი მეორეებისა.

შეუძლებლობა მათთვის არ არსებობს. და, აი, ამიტომაც, ოდეს უკვირდებიან ამ მდინარის ზედაპირს, რომელზედაც იგინი იძერიან,—ჰგრძნობენ აუცილებელ საჭიროებას, ძებნისას, მისწრაფებისას, ბრძოლისას, და ახალი ცხოვრების აღმოცენებისას,—რასაც მარტოოდენ ძალუძს მისცეს მათ ცხოვრების აზრი.

და აქ დგება ჟამი უძლიერესი გამწვავებისა. აქ სწორედ დროზე თვით ცხოვრება იძლევა პასუხს, მსაჯულის უფლებით იმოსება.

ჟამთა დენა არ იშლის თავისას და წელიწადს წელიწადზე საუკუნოებისკენ ისტუმრებს.

დადგება დრო ყოველთათვის თმის გაჭაღარებისა, ძალ-ღონის გამოცლისა, ფიზიკური სისუსტისა, გონებრივ სიჩლუნგისა და დავრდომილებისა. ეკარგებათ ნდომა და შეძლება ბრძოლისა... და თვის უძლურებას იფარავენ მარტოოდენ ცხოვრების გამოცდილებით.

და წინ ელობება ყველა ამას ახალგაზდობის ძალ-ღონე, მხნეობა, დაუშრეტელი გონებრივი შთაგონება, აღფრთოვანება, დაუსრულებელი აზროვნების წყარო, წინსვლა აჩქარებულის, მედგარის ნაბიჯით...

ერთი მეორეს ეჯახება და შორდება, ეს დაშორება ჰქმნის მათ შორის უფსკრულს... და ცხოვრების ტალღები ითრევენ მათ მორევში, საცა ისეთივე მღელვარებაა, როგორც მათ ნორჩ გულში.

და იჩენს იგი სრულს, თავისუფალ მოქმედებას, ბედნიერებისაკენ გულწრფელ მისწრაფებაზე აღორძინებულს.

კმარა!
ძველი კვდება, ახალი იმარჯვებს!

Af.

რუსეთი

ინკვიზიცია სამარაში. ადგილობრივ გაზეთებში მოთხრობილია ჟურნალისტის სამოილოვის თავგადასავალი, რომელიც ზიზღისა და რისხვის მეტს ვერაფერს გამოიწვევს.

«14 თებერვალს, [illegible] საათზე, სახლში შემოვარდა მთვრალი პოლიციელი, № 5, რომელმაც შემოსვლის წინად კარს ჯაჭვი აგლიჯა და კარები შემოამტვრია. პოლიციელს მოვთხოვე მიზეზი ამისთანა საქციელისა და შევატყვე, რომ მთვრალი იყო. ამ კითხვის შემდეგ პოლიციელი მუქარითა და გინებით თავს დამეცა. ჩამავლო გულში ხელი და დამიშინა მუშტები. პოლიციელი მცემდა თავში, ცხვირპირში, ერთი ხელი თმაში ჰქონდა წავლებული, მეორეთი კი მცემდა. არც მუდარამ, არც ხვეწნამ პოლიციაში წავეყვანე (!) და სამართალში (!) მიეცა ჩემი თავი, თუ პოლიციელი (?!) თავის თავს შეურაცხყოფილად სთვლიდა, მასზე ვერ იმოქმედა. ამ დროს ეზოში სხვა პოლიციელი იდგა, რომელიც ყველაფერს ხედავდა, მაგრამ სდუმდა და ხელს არ ანძრევდა. ვეხვეწებოდი, მიშველე მეთქი. ის კი ჩუმად შემომცქეროდა. ბოლოს, როგორც იყო, გავუსხლტი ჯალათს ხელიდან და ქუჩაში გამოვვარდი. პოლიციელი მომდევდა და ყვიროდა: „დაიჭით, არ გაუშვათ“. ჩემის სახლის კარებთან მეეტლეებმა მტაცეს ხელი და მოვარდნილმა პოლიციელმა კვლავ დამიწყო ცემა-ტყეპა. სრულებით შემთხვევით გაჩნდა ჩემთან ყაზანის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული სოკოლოვი, რომელმაც უბნის მეთვალყურეს უამბო ჩემი ამბავი, მაგრამ ამაოდ: უბნის მეთვალყურემ ოქმი არ შეადგინა, მთვრალი გამხეცებული პოლიციელი არ დაიჭირა, და თავისუფლად დასტოვა. ამ ამბის მოწმედ ვასახელებ: 1) ჩემ ცოლს, 2) იოსებ ვეიცეხოვსკის და 3) სოკოლოვს.

ვფიქრობ, ყველა წარმოიდგენს იმ ზნეობრივ ტანჯვას, რომელიც მე და ჩემმა ცოლმა გამოვცადეთ. ის გრძნობა, რომ არავინა გყავს მფარველი, არავინ გიხსნის მხეცურ ძალდატანებისაგან დიდს ქალაქში, მის უმთავრესს ქუჩაზე,—ეს გრძნობა აორკეცებს ჩემს ტანჯვას და ერთი-ათად უმატებს სიმწარეს ჩემს მდგომარეობას. როცა პოლიციელი დამშვიდებით შესცქერის ძალდატანება-წამებას, როცა ის ყურს იყრუებს და ყურადღებას არ აქცევს ხალხის კვნესას და მუდარას,—მაშინ კაცი საშინარ შედეგებს უნდა მოელოდეს. დიაღ, ძნელი არის, როცა ქალის ცრემლებს დასცინიან, როცა დახმარების თხოვნაზე მხოლოდ გამარჯვებულ, დამცინავ ღიმილით გაძლევენ პასუხს. რაც კი შეიძლებოდა, ის ჩავიდინე, რომ დამემშვიდებინა პოლიციელში გაღვიძებული მხეცი. ვემუდარებოდი ისე, როგორც კი შემეძლო, მივმართე მის ადამიანობას, სარწმუნოებრივ გრძნობას, ვემუდარებოდი, უკანონობას ნუ სჩადიოდა, მაგრამ პოლიციელი ამნაირმა მუდარამ უფრო გადარია და გაამხეცა. («ნ.»).

ვარშავაში სათადარიგო ჯარის კაცებს ამბოხება მოუხდენიათ და ყვირილითა, გინებითა და მუქარით **ყაზახები აუკლიათ.** სამხედრო სასამართლოს განაჩენით, 5 ჯარის კაცი დაუხვრეტიათ, ორი გაუმართლებიათ და 12 კაცისათვის მაღნებში მუშაობა გადაუწყვეტიათ. («რ. ვ.»).

რუსეთიდან ამერიკაში გლეხების გადასახლება თანდათან ხშირდება. ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ყოველ გაზაფხულს 300—400 ოჯახი მიემგზავრება ამერიკაში უკეთესის ცხოვრების საძებნელად. («ნოვ.»).

ქალაქის საბჭო

როგორც დღევანდელი ბიუროკრატიზმის დახშული შენობა ვეღარ იტევს გაღვიძებულს რუსის საზოგადოებას, რომელიც ვეღარ სძლებს უჰაეროდ და ლამობს მისი დამპალი კედლები გაანგრიოს, სწორედ ისე ვეღარ იტევს გამოღვიძებულ მოქალაქეთ მოძველებული ტფილისის საბჭოს შენობაც... განქრა სამუდამოდ ის დრო, როცა ქალაქის ბედი მხოლოდ ორიოდე ხმოსნის ხელში იყო, ბოლო მოეღო „ოჯახურს“, შინაურს მართვა-გამგეობას და ამ ფაქტიურად ბურჟუაზიულ დაწესებულებაშიც შეიჭრა საზოგადოებრივი აზრი, მძლავრად მიანგრ-მოანგრია მისი მოძველებული ტრადიციები და ქალაქის ,,მამებს‘‘ ანგარიში მოსთხოვა: რას აკეთებთ? რას ფიქრობთ? რის იმედი გაქვთო?.. მართლაც და, ვინც 10 მარტს, ხუთშაბათს, საბჭოს სხდომას დაესწრო, ის ნათლად დაინახავდა, რა ძალად იქცა დღეს საზოგადოებრივი აზრი, რომლის ძლევამოსილს განვითარებას და წინსვლას ამიერიდან ვეღარაფერი შეაჩერებს. თვით კრება,—მაგრამ რა კრება?—ის მძლავრი იერიში იყო საზოგადოების მიერ თავის უფლებათა და თავისუფლების მოსაპოვებლად მიტანილი. თვით კრება მხოლოდ 10 საათზე დაიწყო: გარეშე ხალხი იმდენი იყო, რომ ხმოსნები ადგილს ვერც კი შოულობდნენ, მაგრამ სანამ ,,მამები‘‘ თავის საქმეს შეუდგებოდნენ და კრებას დაიწყებდნენ, „შვილებმა“ ისარგებლეს დროთი, პატარა „საუბარი“ გამართეს აწმყო მდგომარეობის შესახებ და რამდენიმე ,,პოლიტიკურად მომწიფებული‘‘ აზრი გამოთქვეს... ხმოსანთა კრება ქალაქის მოურავის წერილის კითხვით დაიწყო. ამ წერილში გამოხატულია სურათი კავკასიის მართვა-გამგეობისა და განვითარების ისტორიულ მსვლელობისა. ჯერ ბატონ-ყმობის გადავარდნა ორმოცი წლის წინად და ჩვენი ქვეყნის ლიბერალური პოლიტიკის მიერ გამოწვეული სწრაფი განვითარება და წინ-სვლა; საზოგადო ძალთა მონაწილეობის მიღება იმ ,,დიდ-რეფორმების‘‘ განხორციელებაში, რომელიც კავკასიასაც ხვდა წილად; მერე რეაქცია, ბიუროკრატიული რეჟიმის გაძლიერება, უარყოფა საზოგადოების აზრისა და საჭიროებათა და, დასასრულ, აწინდელი მდგომარეობა, როდესაც, მოურავის სიტყვით, კავკასიის ცხოვრება, როგორც თვით რუსეთისაც, ბორკილებით არის შემორტყმული, საზოგადო აზრი მოსპობილია, ქვეყნის საჭიროებანი უარ-ყოფილია და გაბატონებულია ადმინისტრაცია, რომელიც მუსრს ავლებს ყველაფერს, რასაც კი კიდებს ხელს—მრეწველობას, სწავლა-განათლების საქმეს, სამართალს და სხვ. გაისმა კავკასიაშიაც უკმაყოფილების ხმა, ამოძრავდნენ რუსები, დაიღვარა ბაქოში სისხლი, გაძლიერდა პროტესტი... ამიტომაც, რუსეთთან ერთად, კავკასიისათვისაც აუცილებლად საჭიროა ახალი პირობები, ახალი ცხოვრება, და აი, დღეს, რაკი სამეფო ტახტიდან გაისმა ხმა, რომელიც იწვევს ხალხის დახმარებას და საქვეყნო საქმეში მონაწილეობის მისაღებად ერის წარმომადგენლების არჩევას, კავკასიაც უნდა ეცადოს არ დარჩეს გარიყული მომავალ რეფორმებისათვის, თავის საჭიროებაც გაახსენოს, ვისიც ჯერ-არს, და უკეთესი ცხოვრება მოიპოვოს. მოურავის აზრით, საჭიროა ეხლავე საბჭომ დეპუტატები აირჩიოს, პეტერბურგში გაგზავნოს და შუამდგომლობა აღძრას, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის თავმჯდომარეობით არჩეულ კომისიაში მონაწილეობა მიიღონ კავკასიის წარმომადგენლებმაც. მოურავის წერილმა რამდენიმე ,,რეჩი‘‘ გამოიწვია.

ხმ. ბაბოვი მოხსენებამ არ დააკმაყოფილა: მე თქვენ წერილში იმას ვერ ვხედავ, რაც, ჩემის აზრით, დეპუტაციის არჩევაზე გაცილებით უფრო საჭირო და საგულისხმიერო არის, სახელდობრ—თქვენ არა გაქვთ დაწვრილებით აღნუსხული ის ჩვენთვის საჭირო ცვლილება და რეფორმები, რომელიც ჩვენ უნდა მოვითხოვოთ. გამოცდილებამ ძალიან კარგად დაგვანახვა, რომ შუამდგომლობის აღძვრა ტყუილად დროის დაკარგვაა. არც ერთი ჩვენი შუამდგომლობა არ ყოფილა მიღებული და ნებადართული. ყველა ამისთანა თხოვნაზე ცივი უარი მიგვიღია და დროა, ეხლა ნება-დაურთველად ხმამაღლა ვსთქვათ ის, რაც გვაწუხებს და გვტანჯავს. კავკასიისათვის ჯერ სამართლიანი ყურადღება არავის მიუქცევია, ჩვენი ქვეყანა უპატრონოდ არის დატოვებული და, ადმინისტრაციის ოპეკის ქვეშ მოქცეულს, სული ეხუთება და იხრჩობა. არავინ გვეკითხება, რა გვსურს, როგორ გვინდა მოეწყოს ჩვენი ცხოვრება, და ვალდებული ვართ მოვითხოვოთ ჩვენი

უფლებების აღდგენა. ბეჭდვითი სიტყვას, პირზე კლიტე დადებულს, ეგ არ ძალუძს. ჩვენ თვითონ და მთელმა კავკასიამ უნდა სთქვას, რაცა სურს, რისთვისაც საჭიროა მოწვეულ იქმნას მთელი კავკასიის წარმომადგენლები, გაიმართოს საზოგადო კრება და იქ გამოირკვეს საერთო საჭიროება და მოთხოვნილებანი. კრებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალაქის საბჭოებმაც, თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმაც, ვაჭრებმაც, ინტელიგენციამაც, გლეხობამაც, მეტადრე გლეხობამ, რომელიც ასე დაჩაგრული და შევიწროებულია. ეხლა კი პეტერბურგში დეპუტაციის მაგივრად საკმაოა დეპეშა გავგზავნოთ. ვიმეორებ, უფრო საჭიროა საერთო კრება მთელი კავკასიის წარმომადგენლებისა (ტაშის ცემა). ხმ. **ამირხანოვი**: სამეფო ტახტიდან მოწვეულ იქმნენ ერის წარმომადგენლები სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად. ეს რუსეთის ისტორიაში არა ერთი შემთხვევა ყოფილა, რომ მთავრობას გამოუცხადებია: „ჩვენი ქვეყანა დიდია, მაგრამ მასში წეს-რიგი არ არსებობს." არ არსებობს წეს-რიგი და ამაში, სხვათა შორის, რუსების კონსერვატორებსაც უდევთ წილი, რადგანაც, მათის აზრით, დასავლეთ ევროპის კულტურა დალპა და აღარაფერს იძლევაო. ეგ აზრი რომ შემცდარია, ეს დღეს შორეულ აღმოსავლეთმაც კი ნათლად დაამტკიცა. რუსეთს გაჭირვებულ მდგომარეობიდან მხოლოდ ევროპის მაგალითი იხსნის: საჭიროა შესდგეს დამფუძნებელი კრება, რომლის წევრებიც უნდა აირჩიონ იმ წესით, როგორც ეს ყველგან არის მიღებული.

ხმ. **ევანგულოვი**. რუსეთის საზოგადოებამ ჯერ ნოემბერშივე გამოსთქვა თავის გულის ნადები, გრძნობა და სურვილები: მიეცეს ყოველ მოქალაქეს უფლება გამოსთქვას თავისი სურვილი და აზრი. ამიტომ ჩვენც უნდა შევადგინოთ პეტიცია, გამოვაცხადოთ შიგ ჩვენი გაჭირვება და მოვითხოვოთ: 1) თავისუფლება სიტყვისა, 2) წერისა, 3) კრებისა, 4) კანონის წინაშე თანასწორობა და გათანასწორება დედა-კაცის და მამაკაცის უფლებებისა, 5) უნდა მოვითხოვოთ უფლება წარმომადგენლების არჩევისა, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ რუსეთის კონსტიტუციის ძალით შემდგარ პარლამენტში. ამ მოთხოვნილების ასრულება, როგორც ჩვენ დაგვამშვიდებს და გაჭირვებიდან გამოგვიხსნის, ისე რუსეთის საქმეს გამოასწორებს და, თუ დღეს იგი შერცხვენილი და დამცირებულია, მომავალში ძლევა-მოსილ და დაუმარცხებელ სახელმწიფოდ გარდაიქცევა. დეპუტატების მაგივრად დეპეშით ვსთხოვოთ მინისტრს, რომ ჩვენც მიგვიშვან კომისიაში, რაც შეეხება პეტიციას, იგი მთელი კავკასიის ერის სურვილებისა და მისწრაფების გამომხატველი უნდა იყოს.

ხმ. **ხუდადოვი**. არავითარი შუამდგომლობა, არავითარი დეპუტაცია საჭირო არ არის; თვით ცხოვრება იძლევა პასუხს, თვით ცხოვრება აიძულებს მთავრობას აწეწილ-დაწეწილ საქმეს მოუაროს და ანგარიში გაუწიოს. არსებული წესდება, ხავსით შეიმოსა. მთელ ჩვენ ქვეყანას უკმაყოფილების ცეცხლი მოედო, ცეცხლი, რომლის ჩაქრობასაც მთავრობა ძველის წესითა და ღონისძიებით ველარ შესძლებს. დღეს საერთო ღელვაა ყველგან: ეგ უკმაყოფილება გურიაში თუ კულტურულად იხატება, სამაგიეროდ, ქართლსა და კახეთში, მძლავრ ტალღად ქცეული, ყველაფერს წალეკას და განადგურებას უქადის. ეს დღეს—ფაქტია, რომელიც აღარ დაიმალება. პოლიცია უძლურია, აღარავისთვის საშიში აღარ არის იგი, ძველმა წესმა სიძულვილი მოიმკო. საჭიროა ახალი რამ. ინტელიგენციამ უნდა გამოსთქვას, რაც ქვეყანას სჭირდება. დეპუტაციას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ცხოვრება თვითონ ამბობს, რაც სათქმელია. უნდა მოვითხოვოთ დამფუძნებელი კრება, რომელშიაც მთელმა კავკასიამ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ხმ. **მიქელაძის** აზრით, ქალაქის მოურავის წინადადება საყურადღებო და მხედველობაში მისაღებია, რადგანაც თვით რესკრიპტშიაც არის გამოთქმული აზრი, რომ რეფორმა თანდათან შემოიღება და უფრო ნაკლებად განათლებულ განაპირა ქვეყნებს ჯერ-ჯერობით ის არ ეღირსება, რაც რუსეთსო. ამიტომაც დეპეშით ვერას გავხდებით, დეპუტაცია უნდა იყოს იქ, რომ ჩვენზე ხმა ამოიღოს და ველურობის ბეჭედი მოგვაშოროსო. ხმ. აღნიშნა რუსეთის შინაური და გარეგანი გაჭირვება. მუშათა მოძრაობამ, ტყის გაჩეხვამ და ძალმომრეობამ დასტანჯა და დააფეთიანა ჩვენი საყვარელი სამშობლოო. დეპუტაციას თან უნდა გავატანოთ ინსტრუქცია და შიგ ჩვენი მოთხოვნილებანი წარვადგინოთო. ხმ. **ხატისოვის** აზრით, მაგისთანა კითხვის გარდაწყვეტა მეტად ძნელია, როცა ხმოსანთა რიცხვი ასე ცოტა არისო; ბაბოვის წინადადება—მთელი კავკასიის წარმომადგენლების კრება გავმართოთო—ნაადრევია და შეუძლებელიაო. ქალაქის თვითმართველობას შეუძლიან მთელი კავკასიის პირით ილაპარაკოს, რადგანაც, რასაც ჩვენ მოვითხოვთ, მას მთელი კავკასია დაეთანხმებაო. პეტერბურგში მოხსენების გაგზავნისთანავე მეფის მოადგილეს, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვსაც უნდა მივართვათ, რადგანაც უკანასკნელს დიდი გავლენა ექნება ჩვენი მდგომარეობის შეცვლაში.

ქალაქის მოურავმა წაუკითხა საბჭოს დეპეშები, რომელიც მას მოსვლია ბაქოდან, ქუთაისიდან, ერევნიდან და ალექსანდროპოლიდან. ყველა ეს ქალაქები ემზადებიან და დეპუტაციის გაგზავნას აპირობენ პეტერბურგში.

ხმ. **თუმანოვის** აზრით, ჩვენის წარმომადგენლების ყოლა პეტერბურგში იმიტომაა საჭირო, რომ კომისიის მუშაობას ფეხდაფეხ მიჰყვებიან და საჭირო ცნობებს მიაწოდებენ, რადგანაც კავკასიას რუსეთში არ იცნობენ და შემცდარი შეხედულება აქვთო. ჩვენი წარმომადგენელი იქ—ვექილი იქნება ჩვენიო.

ჩვენ რუსეთისაგან დამშვიდებას და მოსვენებას მოველოდით, მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა და მთავრობამ არაფერი არ მოგვცა. ჩვენი ქვეყნის დამშვიდებას მეფის მოადგილის დანიშვნით ფიქრობენ, მაგრამ შემცდარი აზრია: მეფის მოადგილე ვერ დაგვამშვიდებს. მეფის მოადგილენი წინადაც იყვნენ კავკასიაში და კავკასიას არავითარი მშვიდობიანობა არ ღირსებია. პირიქით, გვჩაგრავენ, ენას გვართმევენ, გვავიწროვებენ და ჩვენი შველა მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლიან. ჩვენ ჩვენი თავის ამბავი კარგად ვიცით, რაც გვჭირია, და ეხლა, როცა ყორნის ჩხავილი წყდება, ნისლი ეცლება არე-მარეს, ჩვენც ხმამაღლა უნდა წარმოვსთქვათ, რომ თავისუფალი, უბორკილო სიცოცხლე გვწყურია და მისკენ ვესწრაფვებით (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

ასეთ კილოზე ლაპარაკობდნენ ხუთშაბათს ქალაქის «მამანი». გადასწყვიტეს: აღიძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საბჭოს წარმომადგენლებსაც ნება დართონ ბულიგინის კომისიაში მონაწილეობა მიიღონ, გაიგზავნოს მოხსენება პეტერბურგში, მეფის მოადგილესაც მიერთვას ამისთანავე მოხსენება. ყველა ამის შესასრულებლად არჩეულ იქმნა: 1) კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ქალაქის საჭიროება და სასურველი ცვლილება და 2) დეპუტაცია პეტერბურგში გასაგზავნად. დეპუტატებად აირჩიეს ხმოსნები: ა. არღუთინსკი, ახუნდოვი, მიქელაძე და ოსტროგორსკი

კორესპონდენცია

ჭიათურა. 8 ამ თვისას აქ ჩამოვიდა ბაქოს პოლკი და დღეს კიდევ მოელიან ორას კაცამდე დონის ყაზახებს. ყაზახების ბარგი უკვე ჩამოიტანეს ჭიათურაში. ჩამოსვლისთანავე ჯარი მოედო ჭიათურის არე-მარეს და რამდენსამე მცხოვრებს ძალით დასცლევინეს სადგომი სახლები და თავისი ბარგი-ბარხანით გარედ გამოყარეს. მათ შორის არიან დღე დღეზედ მოსალოდნელი ქალებიც, მძიმე ავადმყოფნიც, ძუძუ-მწოვარი ბავშვებიც და უპატრონო ობლებიც. ასევე მოექცა დასახელებული ჯარი ადგილობრივ სამრევლო სკოლის შენობასაც, რომლის ავეჯეულობაც ცის ქვეშ მიმოფანტეს და ბავშვების მეცადინეობის ნაცვლად შიგ დაბანაკდნენ „შტიკიანი" სალდათები. აქედან მკითხველი ნათლად დაინახავს, რა უკიდურეს მდგომარეობაში ვიმყოფებით დღეს ჭიათურელები. თუ უმაღლესმა მთავრობამ ყურადღება არ მიაპყრო ზემო დასახელებულ აუტანელ ძალ-მომრეობას და სალდათების თვითნებობას არ აღკვეთა, ხალხში მღელვარებას გამოიწვევს.

ადგილობრივი ბოქაული გადაიყვანეს ლეჩხუმში, ხოლო მის ადგილას დაინიშნა და უკვე ჩამოვიდა იოსელიანი. ბოქაულის თანაშემწე კი ბათუმში გადაეყვანათ და ამ უკანასკნელის თანამდებობის ასრულება, როგორც გავიგეთ, დროებით დაევალებათ სოფ. მერევის ბოქაულის ბერეკიანისათვის.

ჭიათურაში ხმა გავრცელდა, ვითომც შავი-ქვის წვრილ მრეწველებს მომავალ საზოგადო მე-VII-ე მრეწველთა კრებაზედ, სამინისტროს დადგენილებით, არ ექნებათ უფლება (კენჭი) ამა თუ იმ საკითხის განხილვაში. სამწუხაროა და მეტადაც, რომ ფარვიუ-ემერიკ-ზანსიე-შულც-ციმერმანებზედ უფრო მეტად შესტკივათ გული ჭიათურის გაუმჯობესებაზე იმ წვრილ მრეწველებს რომლებსაც, რაც მოხერხებით, დღეს უფლების ჩამორთმევას უპირებენ.

ორი კვირაა, რაც ჭიათურაში მუშაობს შავი-ქვის მრეწველთა ამორჩეული სარევიზიო კომისია, რომელიც იკვლევს, რა უმოქმედნია დასახელებულ საბჭოს წარსული სამი წლის განმავლობაში. სარევიზიო კომისიის ოქმი წარედგინება მომავალ შავი-ქვის მრეწველთა საზოგადო მე-VII-ე კრებას, რომელიც უნდა მარტის გასულ რიცხვებში მოხდეს.

გ. ნაწილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

I

თავად-აზნაურთა კერძო თათბირის ანგარიშიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო „ივერიის" მე-20 ნომერში, სხვათა შორის, ამოვიკითხე, ვითომც ერთს თავადიშვილს წარმოეთქვას თათბირის დროს შეუსაბამო სიტყვები: «საჭიროა შევადგინოთ და გადავცეთ, სადაც ჯერ არს, სია იმ მავნე პირებისა, რომელნიც ქართლში დადიან და გლეხებს „ბუნტსა" და კერძო საკუთრების უარ-ყოფას უქადაგებენო». მე, როგორც გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი და თავმჯდომარე იმ 6 მარტს მომხდარ კრებისა, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ვაუწყო პატივცემულ რედაქციას და ამასთან საზოგადოებასაც, რომ არავითარი ამგვარი სიტყვები არცერთს წევრს კრებისას მაშინ არ წარმოუთქვამს,

ტფილისის გუბერნიის მარშლის მოადგილე
ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი.

II.

თავ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი თავის წერილით არ უარჰყოფს იმ ცნობას, რომ 6 მარტს თავად-აზნაურთა კერძო კრებაზე ერთმა თავადიშვილმა გლეხების ამჯანყებლად გამოაცხადა ერთი პირი გვარის უხსენებლად, მაგრამ ისეთის ნიშნებით, რომ ყველა მიხვდებოდა, ვისზედაც თავადი ლაპარაკობდა. თ. ა. ჯამბაკურ-ორბელიანი ამტკიცებს მხოლოდ, რომ იმ თავადიშვილს არ უთქვამს: «საჭიროა შევადგინოთ და გადავსცეთ, სადაც ჯერ არს, სია იმ მავნე პირებისა, რომელნიც ქართლში დადიან და გლეხებს «ბუნტსა» და კერძო საკუთრების უარყოფას უქადაგებენო». რასაკვირველია, კრებაზე ნალაპარაკევის სტენოგრაფიულად გადმოცემა ძნელია. ხსენებულმა თავადიშვილმა დაახლოვებით სთქვა: ამ პირის მსგავსი პროპაგანდისტი ბევრია; მათი გვარი და ვინაობა მეც ვიცი და ყველა თავად აზნაურმაც; ამიტომ, ჩვენის ინტერესების დასაცველად და გლეხთა მოძრაობის ჩასაქრობად, ჩვენ მოვალენი ვართ, ყველა პროპაგანდისტი და მავნე პირი გამოვძებნოთ და...

ამ ღონისძიებით აღშფოთებულმა საზოგადოების ერთმა ნაწილმა სწორედ ამ დროს ასტეხა ხმაურობა და „ორატორს" სიტყვა გააწყვეტინა. ამგვარად, მე ვაღიარებ, რომ ზემოხსენებულ თავადიშვილს არ უთქვამს „საჭიროა, სიი შევადგინოთ და, სადაც ჯერ არს, გადავცეთო". მაგრამ საქმე განა სიტყვების კოჭაობაშია? მე ზემოხსენებულ სიტყვებში მხოლოდ თავადის აზრი დავამთავრე. ცხადია, რომ იქ დამსწრე საზოგადოებამაც სწორედ ისე გაიგო ორატორის სიტყვა, როგორც მე მქონდა აღნიშნული, სხვაფრივ ამ სიტყვების გაგება შეუძლებელია. თავადი იმ საღამოს და მეორე დღესაც გლეხთა მოძრაობას სულ პროპაგანდისტებს ახვევდა თავზე და მათ წინააღმდეგ იყო ამხედრებული, ამიტომ ცხადია, რომ იმას არ შეეძლო ეთქვა, ვითომ „ყველანი მოვალენი ვართ პროპაგანდისტები გამოვძებნოთ და ამ პროპაგანდისტებს მადლობა გადავუხადოთო". ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ «პროპაგანდისტთა სიის შედგენა» თავადის სიტყვები კი არ იყო, არამედ დასკვნა და დამთავრება იმის სიტყვისა და აზრისა. ჩემს ნათქვამს „ივერიის" თანამშრომელი ბ-ნი მ. ადამაშვილიც ამოწმებს და, თუ საჭიროა, ბევრს იქ დამსწრესაც დავიმოწმებ.

„ივერიის" რეპორტერი **სიმონ ყიფიანი.**

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

11 მარტი.

ლონდონი. მომავალ კვირას ნიუკასტელში კიდევ ერთს იაპონელების დიდ გემს ჩაუშვებენ იმავე მოყვანილობისას, როგორც გუშინ ჩაშვებული ,,კაშიმაა''.

ლონდონი. ,,ცენტრალ ნიუს''-მა გამოაქვეყნა შემდეგი ამბავი: ამას წინად ჩინეთის მთავრობამ გაუგზავნა სახელმწიფოებს წინადადება, რომელსაც პრაქტიკულად მცირე მნიშვნელობა აქვს. იქ ნათქვამია, ომი მალე უნდა მოისპოსო. ეს უფრო თხოვნაა, რომ სახელმწიფოები დაეხმარონ და ჩინეთის სამფლობელო ომის ვაი-ვაგლახისაგან გაანთავისუფლონ, რადგან ყველაზე მეტად ომი ჩინეთს აზარალებს. ერთი პროვინცია მისგან გაოხრებულია. ამიტომ ჩინეთი სთხოვს, მომავალში მაინც ასეთი ზიანი ამაცილეთო.

ტოკიო, 10 მარტი რუსები ჩანტუს გზით იწევდნენ. ეხლა რუსები მანჩუაგის ჩრდილოეთად არიან, 25 მილის სიშორეზე. ტუმენის სამხრეთით და ჩრდილო-კორეაში არც ერთი რუსი აღარ არის. ამბობენ, იაპონელების დანაკარგი 50,000 კაცს არ აღემატებაო.

ლონდონი, 10 მარტი. „გაზ. ტაიმს''-მა წერილი დასტამბა, რომელშიაც ეჭვი იყო გამოთქმული,—არა ვგონებ, რუსეთმა შესძლოს ვალის გადახდაო. ამაზედ რუსეთის ფინანსთა საქმეთა მინისტრმა კოკოვცოვმა დეპეშა გაუგზავნა ,,ტაიმსის'' რედაქტორს და სთხოვა,—აბა, მობრძანდით პეტერბურგს და თქვენის თვალით დარწმუნდით, რამოდენა ნაღდი ოქრო გვაქვს დაზოგვილიო. ,,ტაიმსის'' რედაქტორმა არ ისარგებლა ამ მოწვევით და განაცხადა,—არც გაზეთისა და არც რედაქტორის მოვალეობა არაა რუსეთის ხაზინის შემოწმებაო. ,,ტაიმს''-ში დაბეჭდილმა კოკოვცოვის დეპეშამ აქაურ ფინანსისტებზე კარგად იმოქმედა. ჩვენმა კორესპონდენტმა სანდო კაცთაგან გაიგო, ინგლისის პრესსა მოსვენებას იმიტომ არ აძლევს რუსეთს, რომ განზრახვა აქვს აიძულოს იგი და ზავის ჩამოგდება დააჩქაროსო. ,,ტაიმს''-ში მოთავსებულ კოკოვცევის დეპეშის გამო დიდრონ ინგლისურ გაზეთების რედაქტორთა მთელმა ჯგუფმა მიჰმართა კოკოვცოვსა და სთხოვა,—ნება მიეცით ჩვენს წარმომადგენლებს, რომ შეამოწმონ, რუსეთის სახელმწიფო ბანკში რამდენია ნაღდი ოქრო დაზოგვილიო. მინისტრმა კოკოვცოვმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა.

პორტ-ლუი, 10 მარტი. კოლომბოდან აქ მოსულ გემის გზავრთ სამ მარტს ღამით უნახავთ რუსეთის ნაღმოსანი, რომელსაც შორი-ახლო ესკადრაც მისდევდა, მაგრამ რა გემები, იყო ესკადრაში და ვის ეკუთვნოდა, არ იციან.

პორტ-საიდი, 10 მარტი. (რეიტერი). ნებოგატოვის ესკადრა გამოჩნდა პორტ-საიდის მახლობლად.

ლონდონი. თუმცა ბევრი ლაპარაკი იყო, რომ იაპონია თავის სესხს გერმანიაში ანაღდებსო, მაგრამ დასაბუთებით ითქმის, რომ მოლაპარაკება კიდეც გათავებულა, 30 მილიონ გირვანქა სტერლინგს იაპონია სესხულობს ლონდონსა და ნიუ-იორკში.—კერძო ცნობა მიუღიათ პარიზში, რომ იაპონიის კონტრ-ნაღმოსანმა, რომელიც იაპონიის ესკადრის მოწინავე გემია, კოლომბოსთან გაიარა დასავლეთისკენაო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ვიბორგის გუბერნატორის ჯანმთელობის შესახებ ფინლიანდიის მინისტრისა და სტატს-სეკრეტრის უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე კეთილ ინება და საკუთარის ხელით დააწერა: **გამოეცხადოს გუბერნატორს ჩემი სურვილი განკურნებისა.**

მოსკოვი, 10 მარტი. ჟურნალისტთა კურსებზე ასამდე მსმენელი ჩაეწერა.

კამშინი. ნოქრები და ხაზეიანები შეთანხმდნენ სამუშაო დროზე. ივაჭრებენ შვიდიდან შვიდ საათამდე, ხოლო ორ საათს სასადილოდ შეისვენებენ. უქმე დღეებში ვაჭრობა არ იქნება.

მინსკი. საბჭოს წარედგინა ვაჭართა კოლექტიური შუამდგომლობა, იმის შესახებ რომ მაღაზიები ყოველდღე საღამოს ცხრა საათზე იკეტებოდეს. საერთო-ერთი ნდობის საზოგადოებამ გადასდო ათასი მანეთი მინსკის გუბერნიიდან ბრძოლის ველზე გაწვეულ დაჭრილ-დასახიჩრებულთა სასარგებლოთ.

ლონდონი. პარლამენტის წევრი ბრაისი, ლიბერალურ კაბინეტის წევრად ნამყოფი, დღეს ლაპარაკობდა მახლობელ აღმოსავლეთის საქმეებზე და იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამ საკითხთან რუსეთსა და ავსტრიას. მან სთქვა, ევროპა მხოლოდ მაშინ ჩაერეოდა, თუ კიდევ რამდენიმე ათასი გაჟლეტდებოდაო. სომხეთის შესახებ ორატორმა სთქვა: „ჩვენ რომ შეძლება გვქონოდა გვეიძულებინა ეგრედ წოდებული საქრისტიანო სახელმწიფოები, თავიანთი ვალი შეესრულებინათ, საქმე ძლიერ ადვილად მოეწყობოდა გუბერნატორის დანიშვნით, რომელიც არ იქნებოდა პასუხის მგებელი ოსმალეთის წინაშე. ბელგრადიდან იწერებიან, მთავარ ფერდინანდის დიდებულად მიღებამ ლონდონში სერბიის ერზე დიდი შთაბეჭდილება იქონიაო. ესეთი მიღება ამტკიცებს, რომ მეფე ედუარდს ბულგარია უძლიერეს სახელმწიფოდ მიაჩნია ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის. ოპოზიციის პრესსა ჩასციებია სერბიის მთავრობას, ყოველი ღონისძიება მიიღოს და მეფის მკვლელებიც კი გასწიროს, რომ ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინოს. ავტორიტეტების თქმულობით ასაბუთებენ, რომ მეფე პეტრემ არ იცოდა, თუ მთავარი ფერდინანდი ინგლისში წასვლას აპირებდა.

ნიუ-იორკი. თანხმად სან-დომინგოდან მიღებულ დეპეშისა, ბელგიის ელჩს პროტესტი განუცხადებია იმის გამო, რომ ბელგიას ვალის გადახდას უგვიანებენ. ამბობენ, საფრანგეთი, გერმანია და იტალიაც ბელგიის მაგალითს მიჰბაძავენო.

სტამბოლი, 9 მარტი. მინისტრთა საბჭომ დღეს განიხილა გერმანიის მთავრობის ნოტა, რომელშიაც მუქარით უკრძალავს სამხედრო მასალის ყიდვას საფრანგეთში. გერმანიის საქციელმა და უპირატესობის სურვილმა მკაცრი გაკიცხვა გამოიწვია.

სოფია. გამოცხადებულია განკარგულება, რომლის ძალითაც ყოველ საქონელს, იმ სახელმწიფოთაგან შემოტანილს, რომლებთანაც სავაჭრო ხელშეკრულობა არსებობს, ახალის ტარიფით უნდა გადახდეს ბაჟი. გაზეთები მწუხარებით ამბობენ, მთავრობას სერბიასთან კეთილი განწყობილება ჰქონდა, ეხლა-კი სატამოჟნო ომი უნდა ატეხოსო.

ბერლინი, 11 მარტი. იმპერატორი ტანჟერს მივა 18 მარტს, ნეაპოლში კი—23 მარტს.

ბუდაპეშტი. ამორჩეულებმა სამინისტრო კაბინეტის წევრობაზე უარი განაცხადეს. ტისსამ ოპოზიციას დახმარება სთხოვა, რომ მშვიდობიანობა ჩამოვარდეს დასთა შორის, ხოლო ოპოზიცია თავისას არ იშლის. ამბობენ, კაბინეტის შედგენა კიუნ ხედერვარის დაევალაო.

მოსკოვი, 10 მარტი. პეტერბურგს მიდის მოსკოვის რვა სამრეწველოს მომუშავეთა დეპუტაცია, რომელმაც ფინანსთა მინისტრს უნდა მიართვას პეტიცია საფაბრიკო კანონმდებლობის გადასინჯვისა, ხელოსან მომუშავეთა თავისუფალ შეკავშირებისა, სახელმწიფო დაზღვევისა და სამუშაო დღის შემცირების შესახებ.

ტფილისი, 10 მარტი. ომიანობის დებულება შემოღებულ იქმნა ქუთაისის გუბერნიასა და ქალაქ ქუთაისს, ფოთსა და ბათუმს. გენერალ მალამას ბრძანებით, ეს მხარე დაემორჩილება გენ.-ლეიტ. თავ. ჯამბაკურ-ორბელიანს, გენერალ-გუბერნატორის უფლებით აღჭურვილს.

ბაქო, 10 მარტი. საბჭომ აირჩია სამის კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია, რომელმაც უნდა იშუამდგომლოს პეტერბურგში, რომ ქალაქის წარმომადგენელნიც იქმნენ მიწვეულნი გოფმეისტერის ბულიგინის საბჭოში.

ბაქო, 10 მარტი. გუბერნიის სასანიტარო-აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა, აპრილში ბაქოს გუბერნიის ექიმებისა და ადგილობრივ მოღვაწეთა კრება მოიწვიოს ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიების მისაღებად და საშუამდგომლოდ, რომ ბაქო ხოლერის მხრივ საშიშრად აღარ ითვლებოდეს.

პარიზი, 10 მარტი. დეპუტატთა პალატაში დეპუტატმა დეშანელმა სიტყვა წარმოსთქვა ეკლესიისა და სახელმწიფოს განკერძოების შესახებ და ამტკიცებდა, ეკლესია პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს და სახელმწიფოც ეკლესიის საქმეებს არ უნდა ეხებოდესო (ტაშისცემა მარჯვნივ, უკმაყოფილება მარცხნივ). კონკორდატის დაცვა უაზროა, ვატიკანთან ურთიერთობის მოსპობა ომში გამოწვევა არ არის. განკერძოება საერთო ინტერესებისა ეკლესიის ინტერესებისაგან მოსპობს უთანხმოებას რესპუბლიკელთა შორის. ორატორმა ისურვა, რომ დამთავრდეს საფრანგეთის საჭირბოროტო საქმე, რომელზედაც არის დამოკიდებული მისი სახელი და დიდება. (საყოველთაო ტაშისცემა).

მოსკოვი, 10 მარტი. გუბერნიების წინამძღოლთა კრება დაიწყო უკანასკნელ დროის სახელმწიფო განკარგულებათა გამო და თავად-აზნაურობის მონაწილეობის შესახებ საკანონმდებლო საბჭოში.

კალიში, 10 მარტი. კოლსკის მაზრის მემამულენი შუამდგომლობენ, რომ საერთო კრებაზე გადასწყდეს, როგორ უნდა გაუმჯობესდეს მუშათა და გლეხთა მდგომარეობა.

რომი, 11 მარტი. დეპუტატთა პალატაში ტიტტონმა განაცხადა, ახლანდელი სამინისტრო საკონსტიტუციო არის, რადგან პარლამენტში უმეტესობა ემხრობა, რაც ჯიოლიტის მეცადინეობის შედეგიაო. სამინისტროს პროგრამამ შესამჩნევად დაასუსტა დასები, რომლებიც ქვეყნის სვე და [illegible] დაწესებულებას ეწინააღმდეგებოდნენ.

ვენა. კომიტეტი იძიებს მიზეზებს, რომელთა გამოც ალპიის იქით მხარეს რკინის გზების გასაყვანად გადადებულმა თანხამ არ იკმარა და ზედმეტი დაიხარჯა. სოციალისტმა ელლენბოგენმა მოითხოვა შემოწმება იმ გარემოებისა, რომ გზათა უწყება პარლამენტს უმალავდა დაბრკოლებას და ნამდვილ ხარჯსაო. მან თავნებობით შესცვალა გზის გეგმა და საკონსტიტუციო წესი დარღვია. კომიტეტმა [illegible] კი დაამტკიცა, მაგრამ გზათა მინისტრს უნდობლობა გამოუცხადა.

კიევი, 11 მარტი. სასწავლებელთა უფროსები და მასწავლებლები იმ აზრს დაადგნენ, რომ მოწაფეთა ოჯახისა და სკოლის ერთობა მაშინ შეიძლება, თუ საერთო მსჯელობა ექმნებათ პედაგოგიურ საკითხთა შესახებ.

ვილნო, 11 მარტი. გენერალ-გუბერნატორის თავმჯდომარეობით ბჭობა იყო 12 დეკემბრის ბრძანების მე-7 მუხლის გამო და ის აზრი გამოიხატა, რომ მოხელეთა გამწესების კანონის შემზღუდველი განკარგულებანი უნდა გაუქმდნენ, წოდებათა არჩევნები დაკანონდეს და მიწის შეძენის უფლება გაფართოვდეს.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **ალ. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გლეიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

გამგეობა

ქონებათა ურთი-ერთ შორის დამზღვევი საზოგადოებისა ტფილისში

ამით აცხადებს რომ, საზოგადოების წევრებს რადგან ექვსი მარტისთვის დანიშნული კრება არ შესდგა კვირას 20 მარტს, შუადღის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

საზოგადო კრება.

ამ კრებას განსახილველად ექმნება ყველა ის საკითხები, რომელიც დანიშნული იყო 6 მარტს, იმ საკითხის გამოკლებით, რომელიც ეხებოდა საზოგადო კრებების რწმუნებულთა კრებებით შეცვლას.

ამასთან გამგეობა აცხადებს ბ. ბ. წევრთა საყურადღებოდ, რომ, საზოგადოების წესდების § 27 ძალით, დანიშნული კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

2—6—1.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 марта 1905 г.